# ლომისი

რ ე დ ა ქ ც ი ა
ტფილისი, ხელოვანთა სახახლე სერგიევის ქ. № 13. ტელ. 17—51.

სამი თვით 200 ათასი მანეთი
განცხადების ფასი: პირველ გვერდზე ნომპარელით: სამოცი ათასი მ.; ტექსტის შემდეგ: ოცდა ათი ათასი მ.

კ ვ ი რ ა.
მარტის 25
1923.

ფასი 20.000 მ.

№ 30. სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველ კვირეული გაზეთი № 30.


# აკაკის სახლი

ჩვენი გაზეთის 27 ნომერის მეთაურ წერილში აღნიშნული იყო ჩვენი მწერლობისა და კულტურის ნაშთების დაცვის საჭიროება.

იმავე ნომერში დაბეჭდილია რუსეთის კომისარიატის განკარგულება კულტურულ ნაშთთა დაცვის შესახებ. იქ იცავენ პუშკინის სოფელს და სხვა მეორე ხარისხოვან მწერლების სახლებსა და სოფლებს. იცავენ იმ „ფლიგელსაც“ კი, სადაც ნადირობის დროს დრო-გამოშვებით სცხოვრობდა ტურგენევი.

ასე ხდება რუსეთში, სადაც იციან ფასი მწერლობისა და კულტურის ნაშთების.

ამავე დროს ჩვენში საჩხერის აღმასკომი ადგენს: ჩამორთმეულ იქმნას აკაკის სახლი და გადაეცეს ტყის მცველებს. (დადგენილება № 193. მარტის 10—1923 წ.)

საბედნიეროდ დღემდე ხელუხლებლად დაცულია აკაკის სახლი და ყველა ნივთები მგოსნის.

ოთახი, რომელშიაც აკაკი მიიცვალა,—ტანთსაცმელი და მთელი ოთახის მორთულება გამოიყურება ისე, თითქოს აი ეს არის ეხლა ამ წუთს აქ იწვა მგოსანი.

აკაკის სახლზე იერიშების მიტანა არ ახალია. ასეთ შემთხვევას წარსულ წელსაც ჰქონდა ადგილი.

განსხვავება: მაშინ რკინის გზის მოსამსახურეთ უპირებდენ ჩასახლებას, ახლა ტყის მცველებს ასახლებენ. და განკარგულებას იძლევიან აკაკის ნივთები ერთ-ერთ ოთახში მოაქუჩეთო. აკაკიმ თავისი სახლი და მთელი თავის ქონება დაუტოვა ქართველ საზოგადოებას. მისი სურვილი იყო ამ სახლში სამეურნეო სკოლა გახსნილიყო.

წარსულ წელს მთავრობის განკარგულებით გაუქმებულ იქნა ადგილობრივ რევკომის დადგენილება.

ჩვენ იმედი გვაქვს ასევე მოხდება ამ შემთხვევაშიც.

სათანადო შუამდგომლობა უკვე აღძრულია.

დღემდე აკაკის ნება ვერ იქნა სისრულეში მოყვანილი. განათლების კომისარიატს უნდა ჰქონდეს განზრახული გახსნას იქ სამეურნეო სასწავლებელი, მაგრამ დღემდე ესეც არ მოხერხდა სხვადასხვა მიზეზთა გამო.

ჩვენის აზრით, საჭიროა მცირეოდენი კორექტივის შეტანა აკაკის ნების აღსრულებაში.

მან თავის სახლი სამეურნეო სკოლისთვის დასტოვა, მაგრამ ამ ნების აღსრულებას მოჰყვება მთელი რიგი ცვლილებისა და ის ელფერი, რომელიც ამ კულტურულ განძს დღემდე შერჩენია და რომელიც ჰქონდა პოეტის სიცოცხლის დროს, უთუოდ დაეკარგება.

აკაკის სახლი უნდა დარჩეს ხელუხლებლად ისე, როგორც იყო მის სიცოცხლეში.

ამას მოითხოვს მშობლიურ კულტურის ინტერესები.

ჩვენის აზრით საჭიროა სათანადო დაწესებულებამ დაუყოვნებლივ გაგზავნოს კომისია აკაკის სახლისა და ნივთების აღსარიცხავად.

იქ მოიპოვება მრავალი ხელთნაწერები, რომელნიც დღემდე ვერ ეღირსენ გამოცემას.

უნდა სათანადო ყურადღება ექნეს მიქცეული ამ სახლს, რომ რაიმე მოულოდნელმა და მოუფიქრებელმა შემთხვევამ თავს არ დაგვატეხოს დიდი ეროვნული სირცხვილი.

მაგრამ განა მარტო აკაკის სახლია და ქონებაა ასეთ მდგომარეობაში!

ასეთ მდგომარეობაშია თითქმის ყველა ჩვენი ეროვნულ-კულტურული ნაშთები, რომელნიც მოიპოვებიან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

მახსოვს, წარსულ წელს გაზეთი „ბახტრიონი“ აღნიშნავდა არსენას საფლავის დაკარგვის საფრთხეს.

არავინ ფიქრობს ვაჟას კარმიდამოზე.

სანდრო ყაზბეგის საფლავზე.

მამია გურიელის და მრავალ სხვათა, რომელთა ჩამოთვლაც ასე სახელდახელოდ შეუძლებელია.

შეცდომა ნებსითი თუ უნებლიეთი უნდა გამოსწორდეს.

ხელოვანთა კომიტეტმა, მწერალთა საბჭომ ამ საკითხს უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება.

აღირიცხოს ქართულ მწერლობისა და კულტურის ნაშთები, რომელთ დაცვაც აუცილებლად საჭიროა და აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე მათი დაცვის შესახებ.

ადონის.

# ბინდის დაცემა

I

მაქს ნორდაუ ერთი იმ მოაზროვნეთაგანია, რომელთაც ვერ მოუშორებიათ გონების თვალი თანამედროვე კაცობრიობის კულტურის **ყოფნა-არყოფნის** საკითხისათვის. იგი ამჩნევს კულტურის ბინდ-ბუნდს და ახასიათებს შემოღამებული ევროპის კულტურულ საზოგადოების სულისკვეთებას.

მისი დაკვირვებით დღევანდელი კულტურული ცხოვრების ნიშანდობლივი თვისება საზოგადოებრივი გაურკვევლობა და გონებრივი ბურუსიანობაა. გაბატონებული სულიერი განწყობილება შეგრძნებაა დაღუპვის და განადგურების მოახლოვების. მას აგონდება მითოლოგია ღმერთების საშინელი მწუხარის. „ჩვენს დროში უფრო განვითარებულ ადამიანთა გონებაში იბადება შავბნელი შიში ხალხთა ცხოვრების შებინდების, როცა თანდათან ჩაიფერფლება ყველა მზე და ვარსკვლავები და მომაკვდავი ბუნების წიაღში დაიღუპებიან ადამიანები ყველა თავის დაწესებულებით და ნამოქმედარით“.

Tin de siècle—საუკუნის დასასრული,—ეს პაროლია, გამოხმაურებაა დღევანდელი კულტურული ადამიანის დამწუხრებული სულის და აფორიაქებული გონების. ეს საბედისწერო ფორმულა ძალიან გავს სხვა მრავალ ისტორიულ-ფილოსოფიურ თქმასა და თეორიას, დასასრულს და დაღუპვას რომ უქადის ხალხთა აწინდელ კულტურასა და მის მომავალს.

მათ შორის ყველაზე ბრწყინვალეთ წამოსროლილი და მწვავედ ნაგრძნობი ოსვალდ შპენგლერის თეორიაა, რომელიც გვირგვინდება Nntergang dəs Abendlandes —ევროპის დასასრულის აღიარებით. ეს არის სასიკვდილო განაჩენი ევროპიული კაცობრიობის კულტურისათვის, რომელსაც ისტორიული უთრთოლველი ბედისწერა უთხზავს „ნაწერს დასახულს: **მაკი, თეკელს, ფარეს**“, ბნელოდეს შენს შორის, იყავი და აღარ იქნებიო.

დაახლოვებით ამ გვარსავე სიკვდილს უწინასწარმეტყველებს ევროპას და მის კულტურულ მებაირახტრეობას აზიის კაცობრიობის სახელ განთქმული წარმომადგენელი თავის „ეპოქის დასასრულით“. თაგორი არა-ევროპიელი წინასწარმეტყველია ევროპიული ცივილიზაციის აღსასრულის. „მძულვარების შესსაზარ გრიგალში, გაწითლებულ—გასისხლიანებულ ღრუბელთა შორის ესვენება ეპოქის უკანასკნელი მზე“. თაგორი შორიდან უთვალთვალებს, აზიიდან ტყობილობს „დაავადმყოფებული“ ევროპის მაჯისცემას. თვითონ არ წარმოადგენს დასნეულებული სხეულის დასნეულებულ უჯრედს. ამიტომ ისე მწვავედ ვერ განიცდის ევროპიელობის ტრაღედიას, როგორც, მაგ., შპენგლერი, რომელიც თვით ამ ევროპიელობის ხორცი ხორცთაგანი და ძვალი ძვალთაგანია.

ნორდაუს დახასიათებით ისტორიის ერთი ხანა სრულდება, ილუპება, დგება მეორე ჯერ კიდევ სრულიად გამოურკვეველი. ტრადიციები ირღვევა. ისტორიული კავშირი წყდება. დღევანდლამდე გაბატონებული შეხედულებანი ან უკვე ცოცხალ-მკვდარია, ან განდევნილი, როგორც ტახტიდან გადმოგდებული მეფენი. გამეფებულია მრავალ-ხელმწიფება, სრული ანარქიაა აზროვნებასა და საქმიანობაში. შეირყა ყოველივე უტყუარობა და თანდათან იდუმალ სიბნელის ჩრდილი ეხვევა დედამიწას. უილაჯობა და დბნეულობა ზევით, ხელისუფლებაში; სასოწარკვეთილება და დავრდომილება ძირს, ხალხის ფართო მასაში; იდეალების და ცხოველმყოფელების გაქრობა ადამიანის შემოქმედებაში,—აი მდგომარეობა.

ნორდაუ ყველგან ხელოვნურათ ასურათხატებს ხალხთა დაღამების მოახლოვების ჟამს. მაგრამ მას საკუთრივ გამოყოფილი აქვს კვლევა-ძიებისათვის ერთი მთავარი საგანი, სახელდობ ხელოვნება და ლიტერატურა, და უმთავრესად მათი ანალიზის და დახასიათების მიხედვით ადგენს თავის განაჩენს ევროპიული კაცობრიობისათვის. ის ამ შემთხვევაში იმარჯვებს ლომბროზოს კრიმინალისტურ მეტოდს, ვინაიდან დარწმუნებულია, რომ მან უდიდესი სამსახური გაუწია ყველა საზოგადოებრივ მეცნიერებას და შესაძლებელია მისი შემწეობითვე კაცობრიობის სულიერი და გონებრივი ცხოვრების სავსებით გადაშლა და ახსნა-განმარტება.

კულტურული კაცობრიობის დაღუპვის წინათგრძნობა პირდაპირ გამოწვეულია გადაგვარებით და ისტერიით, რომელიც მასიურ-ეპიდემიასავით მოედვა საზოგადოების განათლებულ წრეებს ყველგან. ეს არის მთელი საუკუნის ავადმყოფობა, რომლის გავლენით ინისლება, ბნელდება გრძნობა-გონება და იქმნება საყოველთაო „ბინდიანი სულისკვეთება“, რომელიც ბატონობს კულტურულ მსოფლიოში.

რა არის მიზეზი ამ გადაგვარების, ამ მასიური ისტერიის, რომელიც კაცობრიობას რწმენას უკარგავს, სასოწარკვეთილებაში აგდებს და ავაგლახებს? ამის მიზეზია უმთავრესად თანამედროვე თაობის მოწამვლა (მაგარი სასმელები, თამბაქო, ოპიუმი, სიფილისი, ჭლექი და სხ.) დიდ ქალაქებში ცხოვრება, დაღალვა-მოქანცვა და სხ. და სხვა. ნორდაუ არ აზოგადებს გადაგვარების მიზეზებს, არ ეძებს მიზეზთა მიზეზებს თანამედროვე საზოგადოებრივ სოციალ-ეკონომიურ ურთიერთობაში და მის ცვალებადობაში. მან იცის მხოლოდ, რომ მოწამლული და არაქათ გამოლეული თაობა მხოლოდ მოწამლულ და გადაგვარებულ თაობას წარმოშობს და მით უფრო ჩამობნელდება და ჩამოღამდება საზოგადოების სულსა და გულში.

სხვათაშორის „ბინდიანი სულისკვეთების“ გამომხატველია თანამედროვეობის სხვადასხვა უცნაური ლიტერატურულ-ესთეთიური მიმართულებანი. ყველა ასეთი მიმდინარეობა დაწყებული ნატურალიზმიდან დემონიზმამდე მშვენიერი ილიუსტრაცია და დადასტურებაა თანამედროვე საზოგადოებრივი გახრწნისა და გადაგვარების. და ნორდაუ აღარ ზოგავს თავის ბასრ კალამს ახალმოდურ ესთეტიურ შკოლების გამოსამზეურებლათ. მაქს ნორდაუს ეკუთვნის იმ ხელოვანთა იშვიათი დახასიათება, რომელნიც ერთდებიან, ადგენენ წესდებას, აარსებენ რომელიმე ესთეტიურ სკოლას, აქვეყნებენ დეკლარაციებს, მანიფესტებს და ამნაირათ ცდილობენ თავზე მოახვიონ მრევლს განსაზღვრული ლიტერატურული კატეხიზმი.

საყურადღებოა ერთი რამ: ნორდაუს როცა კითხულობთ, გგონიათ, რომ ის, „გადაგვარების„ იდეით გატაცებული, თანმიმდევნობით ბოლომდე ივლის და ბინდ დაცემულ ევროპის კაცობრიობის ბედს გამოიტირებს სამუდამოთ. მაგრამ არა. ის ასე შორს არ მიდის. როგორც ქუხს, ისე არა წვიმს. ამ მხრით ის ძალიან განსხვავდება შპენგლერისაგან, რომელიც, რაღა თქმა უნდა, გაცილებით უფრო ღრმა და დიდი მოაზროვნეა.

ნორდაუ მართალია დაბინდებას ხედავს, მაგრამ ელის საზოგადოების გამობრუნებას, მის გაჯანსაღებას, განთავისუფლებას გადამგვარებულ მიზეზთაგან. მაშასადამე ნისლი, დღეს რომ კულტურულ ევროპას ბურავს, გადაიყრება და ცხოველმყოფელი მზის სხივები ისევ გაათბობს და გაანათებს ადამიანთა ურთიერთობას.

სულ სხვა გვარისაა შპენგლერის შეგრძნობა ევროპის დასასრულის. აქ, უფრო ინტუიტიურათ, გათვალისწინებული და ნაგრძნობია ევროპის **გაუღენებელი დაღამება**. ევროპა ავიდა კულტურის განვითარების უმაღლეს მწვერვალამდე, საიდანაც ის უკვე თავქვე დაეშვა და შეუჩერებლივ უფსკრულისკენ მიექანება.

ნორდაუსთვის შეუძლებელი არ არის დღევანდელი გადაგვარებული, დაავადმყოფებული კაცობრიობის განკურნება. უნდა ვთქვათ კი, რომ ის გადაგვარების საწინააღმდეგო, საბრძოლველ იარაღად შედარებით უსუსურ ღონისძიებათ ასახელებს: მეცნიერულ აზრთა ვრცელება, ავადმყოფთა რჩენა, გადაგვარებულთა გამოაშკარავება, შეუბრალებელი კრიტიკა და სხვ.

რა თქმა უნდა, ასეთი ღონისძიებით გადაგვარებული კაცობრიობა ვერ გამობრუნდება, მწუხრის ნისლი საზოგადოებას არ განშორდება. მაგრამ ავტორი ბუნებრივი ევოლიუციის და არსებობისათვის ბრძოლის კანონს ემყარება, იგი ფიქრობს, რომ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გადაგვარებულნი, დეგენერატნი დაიღუპებიან და ძლიერთ და ჯანსაღთ დარჩებათ ბურთი და მოედანი.

შპენგლერი სულ სხვანაირად უდგება საკითხს. მის ევროპას ვერ გამოაბრუნებს ვერავითარი ღონისძიება. აქ არა თუ თერაპიულ-ფსიქიატრიული ზომები, ძირითადი სოციალისტურრევოლიუციური გარდაქმნა-გადახალისებაც არ უშველის საქმეს. ევროპას ვერაფერი იხსნის დაღუპვისაგან, ვინაიდან ეს თვით ისტორიულ ბედისწერის გარდაუვალობაა. „მე გადავსულვარ, სიბერე მჭირს ჭირთა უფრო ძნელია, დღეს არა, ხვალე მოვკვდები, სოფელი ასე მქმნელია.“

ნორდაუს სწამს პროგრესი საბოლოო ანგარიშით, მიუხედავად ბინდიანი გარდამავალი ხანისა, სწამს კაცობრიობა მიუხედავად ერთა თვითარსებობის აუცილებლობისა, და დიდის პათოსით ითვალისწინებს მომავლის პროგრესიული განვითარების სურათს.

ნორდაუ დიდი ოპტიმისტია მიუხედავად თანამედროვე გადაგვარებული მდგომარეობის პესიმისტური დახასიათებისა.

შპენგლერის ისტორიული ფილოსოფია უთუოთ პესიმისტურია თუმცა ამის თანახმა არ არის თვითონ შპენგლერი, რომელიც ამბობს: პესიმისტი არა ვარ, რადგან ბევრ გაუკეთებელ საქმეს და გადაუჭრელ საკითხს ვხედავ და მეშინია, ვაი თუ დრო და ენერგია არ გვეყოსო. არ ვფიქრობ, რომ ასეთმა პრაქტიკულმა „ცივილიზატოურულმა“ არგუმენტმა გაფანტოს ევროპიული კულტურის დაღუპვის წინათ გრძნობის შიში, შპენგლერმა რომ შესანიშნავად და „დამარწმუნებლათ“ აგრძნობინა ყველას. მაგრამ შპენგლერი სრულიად უარყოფს პროგრესს, როგორც თანდათან წინსვლას და დაუსრულებელ განვითარებას. არც კაცობრიობა სწამს მას. ამ მხრით იგი ხომ, როგორც თვითონაც აღიარებს, პესიმისტია. კაცობრიობა ფიქციაა. მას მიზანი არა აქვს. ის მხოლოდ ზოოლოგიური რაოდენობაა. ვერ ხედავ ვერც პროგრესს, ვერც მიზანს, ვერც კაცობრიობას. ამ უშველებელ, თავმოყრილ მოსახლეობას არც საერთო სული აქვს, არც საერთო გრძნობა და მიმართულება. მე ვხედავ ცხოვრების აზრს, სულის ერთობას და მიმართულებას მხოლოდ სხვადასხვა, განკერძოებულ კულტურათა ისტორიაშიო. ასე ფიქრობს შპენგლერი, იგი, კულტურულ ტიპების გადამკიდე, სავსებით ივიწყებს—წორეთ ისტორიულ—სოციალიური თვალსაზრისით—უდიდეს მოვლენას: **ერსა და მის ინდივიდუალურ კულტურას**, რომელიც სრულიადაც არ ითქვიფება ზოგად—კულტურულ ტიპების ვითარებაში. [1]).

შპენგლერის აზრით ყოველი კულტურა, მაშასადამ ევროპიული კულტურაც, თანდათან ბერდება და გადადის ცივილიზაციაში. ცივილიზაცია აუცილებელი ბედია ყოველი კულტურის, მისი ლოღიკური დასასრული, მისი სიკვდილია. ეს დაპირდაპირება შეგნებულათ არა აქვს გატარებული ნორდაუს. მას აზრადაც არ მოსდის განასხვაოს ძირეულათ კულტურა ცივილიზაციისაგან. მაგრამ ევროპის კულტურული მდგომარეობის დახასიათებით დიდს მასალას იძლევა სწორეთ მათი განსხვავებისა და დაპირდაპირებისათვის. მას სწორეთ შპენგლერულათ, „ცივილიზატორულათ“ ესმის ევროპის კულტურის და კაცობრიობის მომავალი, მაგრამ ამით სრულიადაც არ ფიქრობს, რომ ისტორიულათ ევროპის კულტურის მზე სამუდამოდ ჩადის.

ნორდაუს რომ ვიწროდ და თავისებურად ესმის „საუკუნის დასასრულის“ პრობლემა იქიდან სჩანს, რომ თვით „გადაგვარების“ მოვლენა, მისი აზრით, ვრცელდება საზოგადოების მხოლოდ ზოგიერთ ჯგუფებზე და არა მთელ ხალხზე. იგი პირდაპირ აღიარებს, რომ საშუალო და დაბალი კლასების დიდი უმრავლესობა არსებითად არ არის გამსჭვალული „საუკუნის დასასრულის“ ფსიქოლოგიით. ის აგრეთე ამბობს, რომ გლეხობა, მუშათა ნაწილი და ბურჟუაზია—ჯანსაღია; ავადმყოფი და გადაგვარებული მხოლოდ მსხვილი ქალაქების მდიდრები და ხელმძღვანელი კლასები არიანო. მაშასადამე გადაგვარებული ყოფილა მხოლოდ უმცირესობა. მაგრამ იგი შესდგება ისეთი ელემენტებისგან, რომელიც ჰქმნის საზოგადოებრივ აზრს, აძლევს ტონსა და მიმართულებას ცხოვრებას, თავისებურად აფერადებს საზოგადოებრივ ურთიერთობას და ამნაირად ხდება საშიშარი მთელი ხალხისა და კულტურისათვის.

ასეთი შეხედულებისათვის სრულიად ბუნებრივი და ლოღიკური იყო რევოლიუციურ-სოციალისტური დასკვნები. მაგრამ როგორც ვთქვი, ნორდაუ სოციალისტი არაა, კლასობრივი თეორიის თვალსაზრისს ვერ ითვისებს. ხოლო უტოპიურ-ზეკლასიურ სოციალიზმისათვის ევროპაში ნიადაგი მოშლილია. ვინ იცის, იგი შეიძლება უფრო რადიკალურ პოზიციაზე დამდგარიყო სოციალურად და გადაგვარების პრობლემაც გადაეტრიალებია, რომ ებრაელი ღ დიდი სიონისტი არ ყოფილიყო, რომელსაც თავის ერის სინამდვილე უკარნახებდა აზრთა დენის და ძალთა მთლიანობის საჭიროებას და განმტკიცებას...

პანი

[1]) ამ საკითხებზე ქართულ მწერლობასაც უფიქრია და უაზრნია. იხ. სხვათა შორის Báton-ის სოცილოგიური შრომა „ერი და კაცობრიობა“, რომელიც ბევრნაირათ შესასანიშნავი და საყურადღებო ნაწარმოებია.

# ჩემი მოგონებანი

3.

## გრიგოლ ყიფშიძე

გრიგოლ (გიგო) თეოდორეს-ძე ყიფშიძემ თავისი ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო კვირეულ გაზეთ „ივერიაში“ 1878 წ. ამ წელში „ივერიაში“, რომელიც გამოდიოდა ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით, დაისტამბა მისი წერილები „გ. გოდორიას“ ფსევდონიმით: „ქართლელის ფიქრი გაზაფხულის პირზე“ (№ 14), ამავე ნომერში მისი კორესპონდენცია ქართლიდან. „ფრონის ხეობიდან“ (კოროთა) და „ერთი მიცვალებულის ბედი“ (ნაწყვეტი პატარა მოთხრობიდან) (№ 23), და კიდევ (ფრონის ხეობიდან“ (№ 36). ყველა ამ ნაწერებში გრ. ყიფშიძე სწუხს გლეხის უმწეო ყოფა-მდგომარეობაზე, ტირის, სწუხს, რომ იგი, გლეხი, ყველასაგან დავიწყებული და თავმინებებულია. გრიგოლ ყიფშიძეც, როგორც სხვა მწერალნი სამოცდაათიან და ოთხმოციან წლებისა, „ტეტიათა მოტრფიალის“ როლში გამოვიდა. ყველას თვალ-ყური გლეხისაკენ იყო მიპყრობილი და მისს ფეხზე წამოყენებას, ბნელი ცხოვრებიდან გამოყვანას და მის განათლებას ცდილობდნენ და ეტრფოდნენ. ამას უკარნახებდა უკვე რუსეთში დაწყებული სოციალ-ხალხოსნური რევოლიუციონური მოძრაობა.

გრიგოლის მამა თევდორე იყო გორის მაზრის სოფ. დირბიდან. აქ მღვდლობდა მისი პაპა ფილიპე ყიფშიძე, მამა მისი კი სემენარიაში კურსდამთავრების შემდეგ მღვდლობდა სოფ. წვერსა, საღოლაშენსა და არადეთში; ეს სამი პატარა სოფელი ერთი-ერთმანეთზეა გადაბმული და მდებარებენ მდ. ფრონის პირად; დედა გრიგოლისა იყო სოფ. ბრეთიდან ედილაშვილის ოჯახიდან; ყველა ეს სოფლები: დირბი, ბრეთი, წვერი, საღოლაშენი და არადეთი ფრონის პირად მდებარებენ და ერთმანეთზე თითო ვერსით არიან დაშორებულნი. მისი მამა, მღვდელი თევდორე ყიფშიძე, ბოლოს დასახლდა საღოლაშენში; იყო ერთობ წყნარი, მშვიდი, ღმობიერი და კეთილის მოყვარე ადამიანი. ოჯახში მხიარული და სტუმართ მოყვარე, მოყვარული სწავლა-განათლებისა; ოჯახშივე შეაჩვია შვილები სწავლას, შეაყვარა, და ყველა შვილებს, ვაჟებს თუ ქალებს, მისცა გზა სწავლისაკენ. ორი მათგანი გრიგოლ და ალექსანდრე ყიფშიძენი ცნობილნი არიან ჩვენს ლიტერატურაში თვისი დაუღალავი მოღვაწეობით, როგორც ლიტერატურაში, ისე საზოგადო ასპარეზზე.

ფრონის ხეობამ ოთხი მწერალი მისცა სამშობლოს. ძმანი ყიფშიძენი, (გრიგოლ და ალექსანდრე) ჩვენი მოზარდი თაობის „ძია—შიო“, შიო მღვიმელი (ქუჩუკაშვილი) სოფ. ბრეთიდან,—და მე ამ სტრიქონების დამწერი სოფ. დირბიდან.

*

გიგო ყიფშიძე სასულიერო სასწავლებლის გათავების შემდეგ გადავიდა ტფილისის სასულიერო სემენარიაში. იგი ი. გოგებაშვილის შეგირდი იყო; მე უკვე უმაღლესს კლასში ვიყავ, როცა გიგო სემენარიის პირველს კლასში გადმოვიდა. (მაშინ მეხუთე კლასი ერქვა, იგი გაგძელება იყო სასწავლე-

ბლის მეოთხე კლასისა). ძალიან ცქვიტი, მალხაზი და ნიჭიერი იყო, ომახიანი მოლაპარაკე. იმ დროს სემინარიის ინსპექტორის ივანე კუშინსკის რეჟიმი იყო გაბატონებული; არჩობდა ბავშვებს, მუდამ მათ სულსა და გულში თვის უწმინდურ ხელს აფათურებდა და დაეძებდა რაღაც ღალატს, რუსების სიძულვილს; ჰკლავდა მას ის აზრი, რომ აქნობამდე ქართველი ქართველად დარჩა და არავითარი რუსებთან შეერთება, ასიმილიზაცია არა ხდება. ამიტომ სდევნიდა უწყალოდ ქართულს ენასა; ისე კვირა არ გაივლიდა, არ დაეშინჯა შეგირდების ყუთები, ქართული გაზეთი, ან წიგნი ხომ არა აქვთო. ამისა გამო ხშირად იყო ამბოხება, შეგირდები ხშირად დიდს უსიამოვნებას აყენებდენ კუშინსკის და ისიც არიცხვინებდა შეგირდებსა. გიგოც მოჰყვა ერთს ამ ამბოხებაში და სხვებთან ერთად ისიც გამორიცხეს სემინარიიდან. აი ამ ხანას ეკუთვნის მისი წერილები „ივერიაში“, რომელიც ზემოთ დავასახელე. ამ დროს ქართლში ხალხოსნური მოძრაობა იყო გავრცელებული, სოფლად პროპოგანდა იყო მოდებული. მაშინდელ ხალხოსნურ რაზმს ჩამოეშველნენ გიგო ყიფშიძე, ნიკო ხუციშვილი (ესეც დირბელი) და ზაქრო გულისაშვილი. ეს სამნი იყვნენ მასწავლებლებად გორის მაზრის სოფ. ახალქალაქის თემში: ახალქალაქში, მეტეხში და ქვემო გომში. ეს სამნი გაუყრელნი ძმა-მეგობრები იყვნენ. ხშირად გამოდიოდნენ გორში, აქაურ ხალხოსნებთან ჰქონდათ დამოკიდებულება, გვიზიარებდნენ თვის შთაბეჭდილებას, თვისს აზრს ჩვენი გლეხის ყოფა-ცხოვრებაზე; პროპოგანდა ხალხოსნებისა მიმართული იყო მონარქიზმის წინააღმდეგ.

გიგო ვერ შეეგუა სოფლის ცხოვრებას, იგი ერთობ მოძრავი კაცი იყო, ოცნებიანი, დაეძებდა სხვა სარბიელს, მოჰყვა ტფილისში და თავი შეჰყო ჩვენს განახლებულს თეატრში, აქ იგი რამდენიმე სეზონის განმავლობაში ასრულებდა მოკარნახის მოვალეობას, ხან საჭიროების დროს კიდეც არტისტობდა. სცენის სიყვარულით აიხსნება, ის რომ 1910 წელს ი. გრიშაშვილის მიერ გამართულ წარმოდგენაზე „ღალატში“, რომელშიაც ორგინალობისთვის ყველა მომქმედ პირად მწერლები გამოიყვანა პოეტმა,— ანანიას როლს ასრულებდა გრ. ყიფშიძე, მე კი ამ წარმოდგენაში ვთამაშობდი ბესოს როლს. მუშაობდა ს. მესხის „დროებაში“, შემდეგ განსვენებული მოჰყვა ვანო მაჩაბელთან და განუწყვეტლივ მუშაობდა იმის „დროებაში“, როგორც ერთი საუკეთესო თანამშრომელი, მაჩაბელი აფასებდა იმის მუყაითობას, ნიჭსა, გვერდიდან მოუშორებელი ჰყვანდა. გიგო ყოველთვის მხიარული კაცი იყო და ახალგაზდებში ხომ უფრო მეტი. უყვარდა ხანდისხან გადაკვრა, მაძღრისად ჭამა.

ერთხელ ვანო მაჩაბელი კახეთს წავიდა სამოგზაუროდ თვის მეგობრის და ამხანაგის რეზო ვაჩნაძის მიწვევით, გიგოც თან წაიყვანა. გიგოს მოგზაურობაში მადა ერთი-ორად მოემატა, აკვირვებდა ვანოს თივისი მადით.

— გიგო, ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, და რამდენსა სჭამო? ჰკითხა თურმე ვანომ.

— ეხლა უგუნებოდ ვიყავ, თორემ...

— კაცო, გააწყვეტინა თურმე ვანომ, უგუნებოზე რომ მაგდენს სჭამ, გუნებიანობაზე მგონი მთელი ზაქი არ გეყოსო...

გიგო ყიფშიძე დიდს პატივსა სცემდა მაჩაბელს, გულით და სულით უყვარდა იგი მისი გულგაშლილობის, სულის სიუხვის, ძმურის და ამხანაგურის განწყობილობისათვის. ის იყო და ის! გიგო აღარ განშორებია „დროება—ივერიას“, იგი იყო მუდამი მუშა, დარაჯი რედაქციისა. მარტო სანდრო ყაზბეგის გაურკვეველი და ასონაკლები ხელთნაწერის წაკითხვა, გასწორება, რად ღირდა. საზოგადოდ გიგო ძალიან სტილისტი იყო, ბევრს ახალგაზდა მწერალს უსწორებდა ენას და წრთვნიდა. იგი ისეთივე მწრთვნელი და გამსწორებელი იყო ენისა, როგორც ნ. შჩედრინი „Отеч. Записк.“-ებში.

მაჩაბლისა და ილია ჭავჭავაძის ხელში თვით გიგო ყიფშიძეც გაიწრთვნა, შეითვისა მათი სტილი და საუკეთესო მწერალი დადგა. იგი ერთი საუცხოვო მთარგმნელთაგანი იყო; სთარგმნა პოლ ბურჟეს რომანები; „ცოდვა სიყვარულისა“, „ანდრე კორნელი“, სენკევიჩის „ცეცხლითა და მახვილითა“, „ბარტეკ ძლევა მოსილი“, ალექსანდრე სუმბათაშვილის „ღალატი“ და მრავალი წვრილი „ამბავნი და მოთხრობანი“. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე პუბლიცისტური წერილები, წერილები ქართული ენის შესახებ, ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია და სხვ.

## აკაკის

### დაუბეჭდავ პოემიდან: „რაჭა-ლეჩხუმი“

ხან და ხან ცეცხლი გაქრება
და გაცივდება კერაცა,
გგონია სახლი იღუპვის
და მისი ბედის წერაცა;

მაგრამ რომ გაჰქექ ცივ ნაცარს
და გამოუჩხრეკ მას გულსა,
იქ ნახავ ობოლ ნაკვერცხალს,
მიმალულ მივიწყებულსა

და იმ ნაკვერცხლით ხელ-ახლა
ააგუზგუზებ კერასა.
სახლი გათბება და ბნელიც
ნათელს ვერ აკლებს ვერასა!

ასეა ეროვნებაცა:
ზოგჯერ ის შელახულია,
მაგრამ სიცოცხლის ნიშანი
სადღაც კი შენახულია.

მოძებნა უნდა იმ ნიშნის
და „ქვა-კუთხედად“ დადება!..
ის აკვანია წარსულის,
მყობადი დაიბადება!..

ჩვენი ხეც ეროვნებისა
დღეს ვხედავთ სჭკნება და ხმება...
გრძნობას ჰგონია, მაგრამ კი
გონება არ ეთანხმება...

ხეს რა გაახმობს, თუ მისი
ფესვები კიდევ ვარგია?
და ზედაც მისი წარსული
უტყუვრად მონაქარგია...

*

1886 წლის იანვრიდან „ივერია“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა; რასაკვირველია თანამშრომელების შეკრება დასჭირდათ. მე მანამდე ვმუშაობდი „იმედში“, „დროებაში“, ჟურნალ „ივერიაში“, სადაც დაიბეჭდა რამდენიმე მოთხრობა ჩემი. მაშინ „ივერიაში“ მუდმივ მუშაობდა თვით ილია, გიგო ყიფშიძე, იაკობ მანსვეტაშვილი—დონ-იაგოს ფსევდონიმით, ილია ბახტაძე და არტემ ახნაზაროვი. ყოველ დღიურ გაზეთს ესენი ვერ აუვიდნენ და მოგვმართეს პროვინციაში მცხოვრებ მწერლებსა. 1886 წ. იანვრის 3—დან ყიფშიძემ მომწერა:

„...ნიკო ხიზანაშვილის წერილი მოგვივიდა *) და არ დაეთანხმა რედაქციის პირობასა, თუმცა დიდს შემწეობას დაჰპირდა რედაქციას. ეხლა ილია გთხოვს შენ იმუშავო რედაქციაში. თვეში ხუთი თუმანი იქნება ჯამაგირი. ამას კი გაფთხილებს ილია, რომ ჯერ, რადგანაც რედაქციის ნივთიერ შეძლებაზე არც კარგი ითქმის, არც ავი, ვაი თუ მერე რედაქციამ ვეღარ შესძლოს მაგოდენა ხარჯი და თქვენ სამსახური დაგაკარგვინოთ (მასწავლებლად ვიყავი). ძალიან კარგად იცი, რომ რედაქციის საქმე სახიფათო საქმეა: ერთის მხრით მთავრობის შიში, რომ უეცრად არ მოგვისპოს, მეორეს მხრით ფულის უქონლობისა... გწერ ყველა ამას, რადგან ილიამ მითხრა: ყველაფერი კარგად მომეწერა შენთვის. როგორც ილიას, ისე ჩვენ ყველას სულით და გულით გვინდა შენი აქ ჩამოსვლა, მაგრამ ილია შიშობს, რომ შენს მოვალეობაში არ ჩადგეს, თუ ვინიცობა იყოს რამე. პირველად ძალიან ძნელი ყოფილა გაზეთის საქმე. მოიფიქრე კარგად, ნახტომი კარგად დინჯად გაზომე, რომ მერე სანანური არ გაგიხდეს არც შენ და არც შენს მეგობრებს; თუ თანახმა ხარ, მაშინვე ჩამოდი და თუ არა, ტელეგრამით გვაცნობე“.

მე იანვარში ვერ ჩავედი, მასწავლებლობის თავის დანებება მეძნელებოდა. მოწაფეთა გამოცდის შემდეგ ჩავედი და ენკენისთვემდე ვიმუშავე რედაქციაში. გადასვლა ჩემი ტფილისს აღარც რედაქციამ დაადასტურა, აღმითქვეს ცოტაოდენი გონორარის მოცემა ქაღალდისა და ფოშტის მარკებისათვის მაინცა.

*

ილია ჭავჭავაძე ერთობ ხელმოჭერილი კაცი იყო, ამიტომ ეგრერიგად პროვინციის თანამშრომლებისათვის გონორარი არ ემეტებოდა, იმიტომ კი არა, რომ ისინი ღირსად არ მიაჩნდა, არამედ იმიტომ, რომ ედარდებოდა, ვაი თუ შიგ რედაქციაში მომუშავე თანამშრომლებს დააკლდეთ რამეო. მაინც, გიგო ყიფშიძის მოწყალებით, პროვინციაში მცხოვრებ რამდენიმე მწერალს დაგვინიშნა თითო თუმანი. საინტერესოა იმ დროინდელ გაზეთის ისტორიისთვის მისი წერილი, რომელიც აქვე მომყავს. მოწერილია 1886 წელს.—„კარგა ხანია შენი ამბავი არა გამიგია რა. მინდოდა სოფელში ამოვსულიყავ, გორშიც შემომევლო, მაგრამ ამ რედაქციის გადამკიდემ ვეღარ მოვახერხე. ტყვე ვარ და ის არის. შენთანაც მინდოდა სიტყვიერად მომელაპარაკნა, მაგრამ ბედი არა მქონია. ისევ წერილის მოწერა მამიხდა. საქმე ის არის, ძმაო, რომ როგორც იყო მოვახერხე და ამ ჩვენს ძუნწს კარაპეტას გადავადებინე შენთვის ორიოდე გროში მარკებისა და ქაღალდისთვის. შენ, მგონი, კიდეც დაგავიწყდა და მე კი მუდამ მახსოვდა, რომ „უშენოდ ვერ ვიქნებით“. დღეს-ხვალ, დღეს-ხვალ და დავაჯერე, რომ გაზეთი სახალხო საქმეა, ძუნწობით საქმე არ გაკეთდება და ვაი-ვაგლახით სიცოცხლეს სიკვდილი სჯობიან მეთქი.—ერთი კარგი ყმაწვილი კაცი მოიწვია რედაქციაში ამას წინად ოთხ თუმნად. ახლა შ. ბილანოვის მოწვევაც გადავაწყვეტინე. აკაკისაც ფელეტონებრივ დაენიშნა. ბახტაძესაც უარს ვერ ეტყვის, თუმცა-კი გულით უნდა, ისე მოახერხოს საქმე, რომ-„იგი ბახტაძე“ გაუქმდეს რედაქციისათვის. მისწერე სოფრომს ჩემ მაგიერად, მითხრა ამას წინად, რომ ჩვენთვის ძალიან სასიხარულო იქნება, თუ ჩვენს გაზეთში შენი ნაწერები ხშირ-ხშირად გამოერევაო. ბევრს კი ვერ დავპირდები ამ ჟამადა და თუ ხელის მოწერა კარგად წავიდა მერმისისათვის, იანვრის გასულსვე მოუმატებო. ამ ხანად კი თვეში თუმანი დაგინიშნა. მე იმედი მაქვსო, რაკი იმისი ნაწერები დაიბეჭდება, გორიდამ და გორის მაზრიდამ მკითხველებიც ბევრი გვეყოლება და, მაშასადამე, იმისი ჯამაგირი ერთი ორად დაუბრუნდება რედაქციასაო. მე რაღას ვეტყოდი: თავი დაუკარ და მოვახსენე: „ბალი ალა მეთქი“... ვიცი, ათი მანეთი თვეში სათქმელიც არ არის, მაგრამ აგერ ათი წელიწადია სწერ, ათი გროში არ მიგიღია და ჩვენს მწერლობას რომ მაგას გამორჩე, ეგეც ერთი ყაიმათია. ყაიმათს თავი დაანებე, იმედია სამერმისოდ, ხუმრობა არის, რომ რედაქციას სულ ჯამაგირითა ჰყავდეს ამოდენა ხალხი! ათს წელიწადს შემდეგ რა იქნება, იფიქრე და!? ასე, შენ იცი ახლა და შენმა კალამმა, მოჰყე და აწრიპინე ამ ზამთრის ღამეში და თან ჰხუხე ჩურჩხელა, დააგიზგიზე ბუხარი და მაშინ კახურზე უფრო ბუხრის ცეცხლმა გაგახუროს. თუ მზადა გაქვს რამე 1-ს იანვრამდე გამოგზავნე“. შემდეგ მწერდა ქართლში გაზეთის გავრცელების შესახებ, რომელიც მინდობილი ჰქონდათ: კოლა ფავლენიშვილს (ლომკირიძე), ზაქ. დავითაშვილს და ამ სტრიქონების დამწერს.

დიდი მეცადინეობა გვჭირდებოდა გაზეთის გავრცელებისათვის პროვინციაში, ვავრცელებდით უფრო ინტელიგენციასა და ვაჭარ-ხელოსნებში, მასწავლებლები ხომ აუცილებლად გამოიწერდნენ ხოლმე. გიგო გულით ცდილობდა გაზეთის გავრცელებისათვის, მისთვის თავ-განწირული იყო. დღე მუდამ მოკრუხული იჯდა რედაქციაში. მინამ ახალი მწერლები შეეშველებოდნენ, გიგო გაჭირვებას განიცდიდა. აგერ გაჩნდა ილიკო აგლაძე, შემდეგ ალ. ნანეიშვილი და სხვ. „ივერია“ კვლავ მოწინავე გაზეთად ირიცხებოდა. გაჩნდა „ცნობის ფურცელი,“ აქ ახალგაზდა მწერლებმა მოიყარეს თავი, „ივერიას“ შემოეცალნენ თანამშრომელნი; „ივერია“ დამჴლევდა, ამ ხანებში ილია ჭავჭავაძემ გაზეთი გადასცა მეველეს (დავით მიქელაძეს), რომელიც დიდხანს ვერ შერჩა „ივერიას“, მერე მისგან გადავიდა ალ. სარაჯიშვილის ხელში და ყიფშიძე ისევ „ივერიაში“ მოექცა, მაგრამ დიდხანს არ შერჩა „ივერიას“

*) ნიკო ხიზანაშვილი მწერლობაში ცნობილი იყო „ურბნელის“ და „პლებეის“ ფსევდონიმებით. 1886 წ. ის იყო სასამართლოს გამომძიებლად თიონეთში, შემდეგ ცხინვალს გადმოიყვანეს, ბოლოს ტფილისში იყო იმავე თანამდებობაზე; ტფილისში მან თავისი სიცოცხლე ტრაგიკულად დაასრულა: იგი ვიღაც ტერორისტმა მოჰკლა.

ს. მ.

## ლანდები

### ა რ ე უ ლ ი დ ა რ ე უ ლ ი

(რომანის ფრაგმენტი)

...ქეთო ვერ ნახა არჩილმა. მის ბინაზედაც იყო, ზოგ მის მეგობართანა. ბინაში არ შესულა, მართალია, და არ უკითხავს, მაგრამ სახლს ხომ ჩაუარ-ჩამოუარა.—იცოდა, სახლში არ იქნებოდა. მეგობრებთან კი მხოლოდ წარმოდგენით იყო,—უთხრეს, ქეთო დღეს სულ არ გვინახავსო.

„საოცარია! მიწამ ჩაყლაპა თუ?“— ამბობს ხმამაღლა. თავში კი ეშმაკური რამ აზრი ულიტინებს. შეცნობილი როდი აქვს ეს აზრი. ჰგონია, რომ აქვს თავში, რომ უნდა ჰქონდეს, მაგრამ განუსახიერებელია იგი. იცის, განუსახიერებელი აზრი არაფერია და ამიტომ არც ეშინია მისი. ღმერთმაც ნუ ქნას ამ აზრის გასახიერება. ეს იმას ემგვანებოდა, რომ ამ საღამოინდელი ამბავი მთაწმიდაზე თავიდან ბოლომდე მართალი ყოფილიყო—და ქეთოს საქციელი ყოვლად გამართლებული. ეს კი არჩილის დამარცხება იქნებოდა.

ვერის დაღმართს რომ დაადგა, დამშვიდებულად იგრძნო თავი, თუმცა მოქანცული იყო. შინისკენ მიდიოდა. ბევრი დრო კი დაკარგა დღეს. რა ხალხია ეს ქალები. არჩილს მრავალი საქვეყნო საქმე აქვს მინდობილი და ეს ქალები კი ხელს უშლიან მას. აი, ახლა ერთი უშველებელი მოხსენება უცდის მას სახლში. უნდა გაარჩიოს, შენიშვნები გაუკეთოს და ხვალ ზეით კომისიას წარუდგინოს. მაინცა და მაინც სახელგანთქმული პოლიტიკური მოღვაწე არ არის, მაგრამ უჩინრად კი ბევრს მუშაობს. შეუძლია თამამად სთქვას, რომ თუ პირველი არა, მეორე კი უთუოდ არის ამ სამხედრო კომისიაში, რომელზედაც დამოკიდებულია უმთავრესად სამშობლოს ბედი. სახუმარო კი არ არის: სამშობლოს ბედი! ეს მთელი ისტორიაა და მომავალი საუკუნოები... და ამ დროს ქეთო და ცაცა! არჩილის ბრალი კი არის, ღვთის წინაშე, მაგრამ რა ქნას, როცა ასეთი რამე „მოსდევს“ ხოლმე მას რჯულით... თუმცა დღეს ეს უკანასკნელად ხდება. არჩილი მტკიცე კაცია ასეთ შემთხვევაში, და ქალებიც კი ვერ შეარყევენ მის სიმტკიცეს.

მხოლოდ უცნაური კი არის, რომ ის აზრი, რომელსაც არავითარი სახე არ აქვს, რაღაც დაჟინებით იკვლევს გზას არჩილის ნებისყოფის სადავეებისკენ. არჩილი, ასე ვსთქვათ, არალეგალურად გრძნობს ამას და მალულად უკვირს, რომ მისდა უნებურად ხდება ეს.—იქნება ქუჩის ბრალია ან მთაწმიდის ფერდობისა, რომლებიც მთელი საღამოს განმავლობაში ქალის სუნთქვით სუნთქავდნენ დღეს და არჩილს ხან ცაცასა ალანდებდნენ, ხან კი ქეთოს, ხან კიდევ სხვებს, რომლებს სახელი მრავალია ქვეყანაზე.

საკვირველი შეხვედრა კი იყო მაინც. თუმცა იყო კი ნამდვილად? იქნება, წარმოდგენა იყო მხოლოდ, არჩილის ფანტაზიის სცენაზე გამართული! მაშინ, ქეთომ როგორ დაინახა? ადვილად შესაძლებელია, იჭვიანობას ისეთი ძალა ჰქონდეს, რომ ერთ ადამიანს მეორე ადამიანის ფარულ ფანტაზიის კარებს ულებდეს და შიგ აჭვრეტინებდეს. დაუშვებელი არაფერი არ არის ამ ქვეყნად და არჩილი მზად არის გაამტყუნოს ქეთო, რომ იგი მის „ფანტაზიაში“ იჭვრიტებოდა! რა საშინელებაა! რამე უნდა იყოს თუ არა ხელშეუხებელი ქვეყანაზე! სინიდისი ეშმაკმა წაიღოს, ხოლო ფანტაზია?!

სიყვარული შიშველი ეგოიზმია ბოლოს და ბოლოს! რა მოხდა იმისთანა, რომ ქეთო ასე გაიბუტა.—არჩილი შეხვდა ცაცას მოულოდნელად. მცირეოდენ დაიბნა. ეს მართალია, რომ დაიბნა. იქნება, გაწითლდა კიდევაც... მერე?

მაგრამ არჩილს ხომ არ უცვნია ცაცა. არ უნახავს მას შემდეგ რაც მოსკოვში დასტოვა, არ უნახავს სამი წელიწადია. თავი არ დაუკრავს, სალამი არ მიუცია.

არა! ეს ყოველივე ქეთოს მოგონებულია. დაარწმუნა არჩილი, რომ თითქოს დაბნეულიყოს, გაწითლებულიყოს და ათასი სხვა უბედურება კიდევ იქნება, თვით შეხვედრაც ცაცას შეთხზულია!.. არჩილს რაღაც ნამდვილად არ ახსოვს ეს შეხვედრა. დიაღ, ნამდვილად... აქ უთუოდ ქეთოს გიპნოზი მოქმედობს, ჩაგონება. განა ეს ერთი წელიწადი სულ იჭვიანობაში არ გაატარა ქეთომ? სულ ცაცა ეკერა პირზე.

აირევა არჩილი. მას არ უყვარს ყოველივე ეს და ამასთანავე ის უსახო აზრიც, მგონი, მისწვდა ერთ სადავეს კიდევაც და...

არა! საჭიროა, რომ არჩილი იმ რაღაც სამხედრო მოხსენებას ჩაუჯდეს თავის ოთახში და დღევანდელი დღე სრულს დავიწყებას მისცეს.

*

უცებ ვერის ხიდთან: არჩილის პირდაპირ ავტომობილი. ერთდროულად შეხედვა და შედგომა. იმავე დროს მანქანის ჩაქროლება. არჩილს თვალები მოეჭრება, მერე დაუბნელდება.

— ა?—და შეტრიალდება იგი. აღმართზე შეფრენილი ავტომობილის უკანა ფანარის წითელი სხივების ლურსმნები სახეს დაუჩხვლეტს არჩილს და გაჰქრება.

— ცაცა!—წამოსცდება არჩილს. ეს სიტყვა რაღაც მისტიურად გაიხმაურებს ჰაერში. შიში დასუსხავს მისგან არჩილს. შორეულის ლანდების წივილი მოესმება საიდანღაც, და მთელი საათის განმავლობაში აკიდებული მისი უსახო აზრიც ამეტყველდება.

— ჰა, აი თურმე რა ყოფილა.

მაგრამ არ დაიბნევა. წელში გამართვით მობრუნდება ისევ ხიდისკენ. მცირე ხნით გარინდებული შეჩერდება ერთ ადგილზე. თვალებს დაიპატარავებს.—მაინც აწუხებდნენ ფანრის წითელი ლურსმნები.—ნელად, გაზომვით ისე მოიმარჯვებს ტუჩებს, რომ ღრმა ამოსუნთქვას თან გამოაყოლებს პაწია, მაგრამ მჭრელი ფსტვენის ბურთს.

უშიშრიდ გადადგამს წინ ნაბიჯს.

— მე ვიცოდი, რომ ცაცა მოსკოვში რუსს მისთხოვდებოდა! სწორედ ეს ის იქნება, ავტომობილში რომ უჯდა წელან... ჩამოვიდნენო რომ ამბობდნენ, ალბად მართალი ყოფილა...

*

ბინას უახლოვდებოდა. ახლა ნელა მიდიოდა. თითქო თავის თავს ესაუბრებოდა. ღამე იყო, ბნელოდა, და ეს შესაძლებლად მიაჩნდა. ცაცას ამბავში იყო ძალაუნებურად გართული. მოსკოვში ცხოვრების მოგონებანი ცხოველდებოდნენ მის მეხსიერებაში. აწუხებდნენ. თან უხაროდა, რომ ცაცა ახლა საფრთხეს არ წარმოადგენდა მისთვის, თანაც სწყინდა ეს.

ხელი ჩააქნია, თითქო მოიშორა ეს ფიქრები. აზრი სხვა სფეროში გადაიტანა, მაგრამ ეს გარეგნული იყო. თავში კი ისევ ცაცა უტრიალებდა.

საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობაზე დაიწყო ფიქრი. მას არ სწამდა უბედურება, მაგრამ გრძნობდა, რომ რაღაცა უნდა დატრიალებულიყო. ამ რაღაცის გამორკვევა უნდოდა ახლაც, როგორც წინადაც მრავალჯერ უცდია. გუშინწინ სასახლეში ბევრი რამ სიმპტომატიური შენიშნა. ამაზე ჯერ კიდევ კარგად არ უფიქრია. ამ საღამოს არა თუ იფიქრებს ამის შესახებ, დასწერს კიდეც.

„პოლიტიკას“ ყოველი მხრიდან ცაცას ამბავის ქსელი ექსოვებოდა. ზოგი ძველი, ზოგი დღეს გაჩენილი— ზოგი მართალი და ზოგიც მოგონილი ფაქტები ერთმანეთში ერეოდა. „პოლიტიკამ“ კიდევ მეტი დაურია...

და სახლის შესავალთან უცნაური დასკვნა გაუკეთა სრულიად მოულოდნელად ყველა ფიქრებს და აზრებს:

— ცაცა და მისი რუსი უთუოდ კლუბში მიდიოდნენ... ეს ხმამაღლა სთქვა. თქმისთანავე გაჯავრდა. საიდან მოუვიდა ეს აზრი, როცა თავში არ ჰქონია! შეტუქსა თავი.

—გეყოფა! სულელობ!—ესროლა თავის თავსავე და თვალები გაანათა. შეაღო შესავალის კარები და აჩქარებით აირბინა კიბეზე.

*

ოთახში საწერ მაგიდაზე ქეთოს წერილი დახვდა. სწრაფად აიღო. წაიკითხა. აეგზნო. გაიარ-გამოიარა. სახე შეკროდა და ფერის სიმკრთალე დასტყობოდა. პატარა წერილი ხელში ეჭირა და ჰმუჭვნიდა.

„კარგია. ძალიან კარგია. ბოლო უნდა მოღებოდა მაინც. არ მცალია... ვერ მოვიცლიდი მაინც. ყოჩაღ!“— ფიქრობდა და კუთხიდან კუთხეში დადიოდა.

უცებ ოთახის შუაგულში შესდგება. დაჭმუჭვნილ ქაღალდს გაშლის. თვალებთან ახლო მიიტანს, თითქო წაიკითხავს ხელმეორედ. სახე გამოეცვლება. არაბუნებრივად აენთება. მოგონილი სიხარულით ხმამაღლა იტყვის:

— აი, რომ კარგი ხარ, ქეთო! უთუოდ კარგი!—და წერილი ჯიბეში ჩაიდვა. თითქო ახალი რამ ამოეკითხოს.

— იჭვიანობას მოკლე დღე აქვს, ჩემო ქეთო. არასოდეს მომწონდი ისე, როგორც დღეს. გაუბედავი იყავი და ცრემლმორეული, თითქმის საწყალი... ტუჩებზე ფითრიანი გულის ჯავრი გაჯდა და აწკარუნებდა იჭვის ყვითელ სარეკელას! შევცდი, რომ გაგაჯავრე! ბოდიში, ქეთო! მოვდივარ! მოვდივარ!

და სირბილით გამოვარდა ოთახიდან. დაეშვა ძირს. რაღაცა უხაროდა. ძალიან უხაროდა. მაგრამ გაუგებარი და უცნაურზე უცნაური იყო მისი სიხარული:—სახე წამდაუწუმ ეცვლებოდა. თვალებს პირდაპირ ვერ მართავდა: თითქო ეშინოდა სიხარულის მიზეზის გამომჟღავნების. თითქო ვიღაცას ატყუებდა და თითქო თვით სიხარულსაც რაღაც განზრახვისათვის იგონებდა.

ქუჩაზე გარბოდა. ვითომ მისდევდა ვისმე, რომლის დაწევნა აუცილებელი იყო მისთვის.

— უთუოდ კლუბში იქნება!—ეწვერებოდა გულზე და შეუჩერებლად მიჰქროდა. ქუჩაში ხალხი ნაკლებად იყო. მოძრაობას არავინ უშლიდა. გვიან იყო. საათს დახედა: თერთმეტი სრულდებოდა. ციებ-ცხელების მსგავსი რაღაც მოედო მთელ ტანზე. ცახცახებდა.

— ერთიც ვნახე, დავაგვიანე და ვერ მოუსწრო! შეუძლებელია! ასე ადრე კლუბიდან არ დაბრუნდებოდა!..

გაიარა ვერის ხიდი. შეჰყვა აღმართს. რაღაცას ბუტბუტებდა.

თვალწინ დღევანდელი სცენა დაუდგება: ნაწყენი ქეთოს ბავშვური სახე და...

და ცაცას თვალების დემონისებური გაელვარება.

უცებად ელვის სისწრაფით: მოსკოვი. ცაცას ოთახი. წითელ-ყვითელი ლამპის აბაჟური და მისგან გამომკრთომ სინათლეში ვნების ეკლების ენები. ცაცას ვნების.

ტანში გაცრის. რაღაც მწარ-ტკბილი დაეწვეთა გულზე. შეჰქანდება მთელი ტანით. რამდენიმე ნაბიჯი კიდევ და სრულიად გარკვეული სურვილების ჯაჭვი შემოერტყმება გარშემო.

ფარული, უსახო აზრიც გაიშლება ახლა მის თავში, და აღარაფერს არ მალავს.

„აუცილებლად ვნახავ... ამ საღამოსვე ვნახავ! არ შემიძლია, რომ არ ვნახო... მშია მისი ნახვა... აი, პირდაპირ მშია!“

ამბობს გასაგონად და გარბის. არეული დარეული მისდევენ აზრები.

„არასოდეს მერე, ხოლო ახლა კი უთუოდ... მადლობელი ვარ შენი, ქეთო!... მე იმას არ ვიცნობ, დამიჯერე! სალამი არ მიმიცია, შენც ხედავდი... ჰო, რა ბედნიერება დამიღუპა მოსკოვმა... მომტაცა პირდაპირ მისი თავი... გარწმუნებ, მხოლოდ შორიდან დავინახავ... სხვა არაფერი... იქნება ხმაც გავიგონო მისი! ჰო, ქეთო, შენ არ გაგიგონია მისი ხმა! მე მიყვარს მისი ხმა... ნეტავი, იცოდე, რა ხმაა ეს ხმა... მე გეტყვი შენ, რომ... იგი არც ერთ ხმას არ ჰგავს დედამიწაზე...“

აი, კლუბის შესავალიც.

მაგრამ აქ უცებ შესდგება არჩილი. სულს მძიმედ და ღრმად ამოითქვამს.

— ა?—შეეკითხება თავს. მერმე ერთ ხანს გაყუჩდება.

უცებ სიცალიერის ქარი დაუბერავს გულთან. სიძულვილის გესლი ნერწყვად დაუდინდება პირში.

— თუ ეს მე ვარ, უნდა დავისაჯო თავი! დარღვეულია ყველა კანონი და ჩადენილია ყველა ბოროტება!

გაიმახვილებს გულის ყურს.—არაფერია არც მასში და არც მის გარეშე, რაზედაც შეიძლება ადამიანმა ყურადღება შეაჩეროს. ქაოსია მის გულსა და სულში. ქაოსია ყველგან.

ნორმალური აზროვნების ნიავი ამოძრავდება მასში. წუთით გამოარკვევს სიფხიზლე.

— ჰო.... არეულ დარეულია ყველაფერი... ტყუილებია სულ... ტყუილებია ყველგან.

შუბლზე გადისვამს ხელს და საწყლურად დაამთავრებს:

— განა მე ვამბობდი, ქეთომ კლუბში დამიბარა მეთქი?! ქეთო და... კლუბი?.. საიდან...

და ოდნავ შესამჩნევი დამცინავი ღიმილი ჩაუდგება ტუჩების ერთ კუთხეში.

თითქო სხვა ვინმე უცხო ყოფილიყოს—არჩილის მეთვალყურე, და არა თვად არჩილი, ეგრე უზრუნველად, გარეგნულად სრულიად დამშვიდებული, გასწევს კლუბის ახმაურებულ შესავალისკენ.

ლეო ქიაჩელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი თანამშრომელნი: ნიკო ცხვედაძემ, რომელსაც იმ ხანებში დაუსიძევდა ფილიპე გოგიჩაიშვილი, დ. სარაჯიშვილთან ისე მოახერხა საქმე, რომ მან „ივერია“ გამოისყიდა და გადასცა გოგიჩაიშვილს, ერთს წელიწადს კარგად აწარმოეს „ივერია“ იმან და კ. თუმანიშვილმა და მერე გაზეთმა ღონღილი დაიწყო და კ. თუმანიშვილის ხელში სული დალია.

გიგო ყიფშიძე განშორდა „ივერიას,“ სადაც მან თვისი ყმაწვილკაცობა ჩაჰკლა დაუცხრომელ შრომასა და ჯაფაში, ოცდა ორი წელიწადი, თუ არ მეტი, განუწყვეტლივ შრომობდა „დროება“—„ივერიაში“. გაზეთის მუშის შრომა და ჯაფა თვალუჩინარია. მკითხველს მზამზარეული გაზეთი მისდის და არც მან, არც საზოგადოებამ არ იცის, ვინ აწვდის მას ამ გაზეთსა. აი ასეთი გაზეთის უჩინარი მუშა, რომელიც თვისი ზურგით ატარებდა გაზეთის ბედსა თუ უბედობას, რომელიც რამდენიმე წელიწადს ეკლიან გზით ვიდოდა, ისე კვდება, რომ სველ მიწასაც არავინ მიაყრის ხოლმე.

*

გრიგოლ ყიფშიძე ბოლოს ქართულ სამეურნეო ბანკის დირექტორად იყო მის გაუქმებამდე; 1921 წელს საერთო გარდარეულობის გამო, განსვენებული თავის სოფელ სალოლაშენს გადასახლდა, სადაც მამისგან დანატოვარს მამულში დაიწყო ცხოვრება. უკანასკნელად მე იგი ვნახე 1921 წ. ღვინობისთვეში სოფ. სოლოლაშენში, რომელიც მას ძალზე უყვარდა, სადაც მან გაატარა საუკეთესო დღენი თვისი ცხოვრებისა, და სადაც პაწია მამულიც შეიძინა. სოფელიც პატივსა სცემდა უაღრესად. მთელი საღამო გავატარე მასთან; გადავფურცლეთ ჩვენი განვლილი ცხოვრება, გავიხსენეთ ჩვენი დიდებული კაცები: დიმიტრი, ილია, აკაკი, ვანო მაჩაბელი, სანდრო ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა. ნეტარი საღამო იყო, დაუვიწყარი, ტკბილი, სასოების აღმძვრელი ჩვენს მყობადზე.

გიგო უჩიოდა გულსა, ველარას ვჭამ, ველარას ვსვამ, ყოველივე მწყინსო; დიდი დღე აღარა მაქვსო და რაც შემრჩენია, სიამოვნებით მინდა გავატარო, მინდა ყმაწვილობა მოვიგონო და ძველებურად ლხინს მივმართოვო. სამუშაოც ჰქონდა—სახელმწიფო გამომცემლობას რამდენიმე წიგნაკი მიეცა გადასათარგმნელად.

არ აუსრულდა მას ნატვრა სიყმაწვილის დაბრუნებაზე. ჩემი ნახვის შემდეგ ერთი თვე აღარ გასულა, რომ გიგო ყიფშიძე გულის სიგანივრით გადაიცვალა სოფ. სალოლაშენში, სადაც მიწა უაქვანეს. მე ერთი თვის შემდეგ შევიტყე მისი გადაცვალება. ჩუმად მიიცვალა ის ჩუმი, თავის თავზე არა-მაღლად მყვირალი მოღვაწე.

ასეთია ბედი ჩუმის და უჩინარის მოღვაწისა!!

**სოფრომ მგალობლიშვილი.**

# პატარა ფელეტონი

## ცაბუ

ტროპიკულ მცენარეთა ფოთლები აშრიალდენ, გადიწია დიდი პალმის რტო და გადმოხტა ახალ-გაზრდა, ცქვიტი, მარდი, მოხდენილი, ვით ჯეირანი.

პალმის ძირას, მიხაკს რწყავდა თვალეუეუნა, თმაგიშერა ცაბუა. სარწყავი თუნუქი დასდგა ქალმა, წელში გაიმართა. უნებურათ მიჰხედა ბატონების დიდ, მდუმარე სახლს. შეჰხედა ვაჟს. თავი დაჰხარა.

— ცაბუ, ა, ცაბუ!

— რა გინდა, რეზო, ღვთის მადლს თავი დამანებე, აიღე ხელი.

— არ შემიძლია.

— რას ითხოვ ჩემგან?

— ჩემი უნდა იქმნე.

— არ შეიძლება.

— მიზეზი?

— მიზეზს კითხულობ, შენ კი არ იცი? აი ეს ბაღი, თვალ უწვდენელი ხეივნებით, ეს სასახლე, ამაყი და ზვიადი დედა-შენი, სტუმრები, ვახშმები, დროს ტარება და ამათში რეზო ნებიერი, თავწასული, ნასწავლი. მე-კი... მე ჩემის მდგომარეობით—იქ ჩემ სოფელში: შავი ქოხი წინ დერეფნით, ხრიოკი ეზო... ქოხის კარი გამოიღო ამ დილით, დედა ჩემი გამოდის მანდილით თავწაკრული, ძროხას წველის, ან კრუხ წიწილს საკენკს უყრის, თვალი შარისაკენ აქვს მიპყრობილი, ვინ მიუტანს მას ჩემს ამბავს, სინმინდის ფულს ელის ჩემგან... აბა რა გვაქვს ჩვენ საერთო?

— ვიცი... მესმის...—უთხრა ვაჟმა. წაეტანა.

— დამეხსენ, რეზო! შენ გენაცვალე... შენ გენა...

— სუ დაჩუმდი, ჩემს ალერსში ამოგახშობ... ამ საღამოს, როგორც მთვარე ამოყოფს თავს, განის ფანჯარასთან მოხვალ, შენით მოხვალ...

ზევით კარი გამოიღო... მაღლა ვიღამაც ჩაახველა... ერთი კოცნა კიდევ მოიტაცა გიჟმა... დაბნეულილი ცაბუ დარჩა. გაისწორა გოგომ თმები, მიიმალა მცენარეებში.

*

შუა ღამე გადავიდა, მთვარე მწვერვალებს მიეფარა, დილის სიომ დაუბერა და შეეფეთა გზათ მიმავალ გოგოს, გოგოს ახალგაზრდას, გოგოს სირცხვილით თავდახრილს, ჩატეტკილს... მდიდრის ფანჯარა მიიხურა. დაცხრა ჟინი ახალგაზრდის, თორმეტ საათამდის მშვიდი ძილი სუფევდა ნებიერ რეზოს საწოლში.

*

სასახლე მიწყნარდა, მოსამსახურეთა შტატი შემცირდა, მოსწავლე ახალგაზრდობა ჩრდილოეთს გაემგზავრა.

ცაბუც დაითხოვეს ადგილიდან, და გამოვიდა ქალი ქუჩაში, მისი მღვრიე თვალები აღარაფერს არჩევენ, დამძიმებული გონება აღარაფერს აზროვნებს. სული-კი ეძებს გზას შურისას, ბოროტება ანჩხლდება... და მიდიოდა ცაბუ ასე გზათ, მარტოკა ეულათ, აღარ ახსოვდა კეთილ ქალიშვილს აღარც სოფელი თავის ქოხით და არც თავწაკრული მოხუცი დედა... მღელვარე იყო ვით ზღვა ქარის დროს.

*

იაფ-ფასიან სასადილოს წინ მსუნაგის თვალით დაშტერებია მოხარშულს დედალს ორი გოგო; სახე დაღარულნი, ჩაწითებულის თვალებით, მტვრიანნი, დატალახებულნი. ჰპატიჟებს მათ ორი ჯარის-კაცი. მიჰყვებიან, მიდიან ცალკე ოთახში; ოღონდ დღეს გაძღეს, არ დასდევს ხვალეს.

— შენი სახელი ცუგრუმელავ?

— ლიზა.

— შენი გვრიტო.

— ცაბუ.

— ცაბუ? ეშმაკური სახელია.

და გაისმა უწმაწური ალერსი.

*

მზე მოეფარა კოჯორის ქედს... ქალაქში ცხელა, ახალგაზრდობა გავიდა გარეთ ქალაქიდან... ოლღას ქუჩით... ვერის ბაღები... ჯვარს გასცდნენ ეტლები... მოქეიფენი მიდიან ნელა, მწყობრათ... თქარა-თქური ისმის ცხენთა ნალისგან.

— თეთრ დუქანში... თეთრ თუქანში... ჰირვეულობენ... შედგა ეტლები, გადმოხტნენ მოქეიფენი. გაემართნენ ფანჩატურისკენ.

— დუდუკი... დუდუკი, სუფრა ღელეზე... ცოცხალი მურწა, ცოცხალი..—ენა ეშლებათ.

— ქალები, ყმაწვილებო, ქალები! არ დაგავიწყდეთ...

მაღალი ქალი წამოდგა და გაემართა.

— შენ არა, შენ მაგათთვის არ გამოდგები.—გადაელობა მიმავალ ქალს სამიკიტნოს პატრონი.

— ჩამოდექ... სანამ ეს ჰრილობა არ მიპობდა სახეს, ხომ ვამშვენებდი შენს საროსკიპოს, გზა.!—შეუყვირა გაანჩხლებით. წარსდგა ამაყი მამაკაცთა წინ... შეკრთა, ერთ მათგანს დააშტერა თვალი, აილანძა, ბოროტმა ცეცხლმა დაიკვესა მის თვალებში.

— ეს არა, არა... ლამაზები გეყოლებათ, იჭირვეულა თავგასულმა. ქალმა კბილებს მოუჭირა და მუშტი მოკუმშა...

— ლამაზები? შემომხედე, იუდავ... ველარა მცნობ? ველარა სცნობ ლამაზ ცაბუს?.. შენ გული დასჭერ ჩემი, სული დაკუწე, შენისთანებმა სახე დამიჭრეს, დამასახიჩრეს, დღეს აღარ გინდივარ, აღარ მოგწონვარ, ჰა ჰა ჰა ჰა ჰა აღარ მოგწონვარ... უკაცრავად, აღარ მოგშორდები, თანა გდევ, ერთად ვიქეიფებთ, ვიქეიფებთ ასეთ ადგილებში, ეხლა ხომ შესაფერი ვართ.

— გაიყვანეთ, მთვრალია მგონი...—დაიძახა კაცმა.

— ბატონო რევაზ, ჯერ შენთანაც არ ვსვამდი კონიაკს, რომელსაც ისე მაძალებდი, არც შემდეგ შევჩვევივარ თქვენებურ ლოთობას. მე ლოთი—ვარ—მხოლოდ სულით... ჩემის დარდით. მიიწია ქალი...

— გაიყვანეთ მეთქი.

— მმმ. გაგისწორდები ვაჟბატონო.

დუქნის პატრონმა წაავლო ხელი, გაითრია, ქალმა გაიბრძოლა, ქვას წააწყდა. გაეშვებინა მედუქნეს, დაავლო ხელი მძიმე ლოდს და—სწრაფათ მოხდა.—ყველანი გაშრენ, დაიკარგნენ. თავ-გაჩეხილი რეზო უმწეოთ აწყვეტებდა ხელებს. ცაბუ ხარხარებდა.

*

— ქალო, ღებულობ ბრალდებას, აღიარებ თავს დამნაშავეთ? შენ მოჰკალ რევაზ ნებისაშვილი? ეკითხება მსაჯულთა თავმჯდომარე დამნაშავეს სკამზე მჯდომ ცაბუს.

— მოვკალ...

— რით მოჰკალ...

— ქვა დავარტყი თავში...

— მიზეზი რა იყო?

კიდევ მკითხავთ? როსკიპი ვარ, ბატონებო, როსკიპი. კანონის აღმდგენელნო... სად იყავით, როცა მე ამ გზას შევუდექ... არ იცოდით თქვენს დანაშაულს მეორე უფრო მძიმე დანაშაულიც მოჰყვებოდა? თქვენ მომკალით სულით, მე მოვკალი ხორცით... შეაწყვეტინეს.

— ნუ ამბობ, რასაც არ გკითხავენ...

— კარგია თქვენმა სიცოცხლემ... ყველაფერს ვიტყვი. გვცემენ, დავჩუმდეთ. გვთელავენ, დავჩუმდეთ. გვსჯიან, დავჩუმდეთ...

— დაჩუმდით...

— არ გქონდათ უფლება!

— რომელ უფლებაზე მეუბნებით?.. ასი სიცოცხლე რომ ჰქონოდა რევაზ ნებისაშვილს, ასჯერ მოვკლავდი, მაინც კიდევ ვერ გავძღებოდი მისი სისხლით.

— დაჯექით...—გააწყვეტინეს მსაჯულთ. შეჰხედეს ერთი მეორეს.

— ესეც დავჯექი... მე არ ვთხოულობ პატიებას. ძალიან კარგათ ვარ სატუსაღოში... ვისვენებ ასე, აი...

არავინ არ იცავდა ციბუს, არც ცდილა ქალი თავის დაცვას, მსაჯულნი გავიდნენ სათათბიროთ, ქალმა გააბოლა თუთუნი და გადააფურთხა განზე.

**მ. გარიყული.**

## წიგნიდან: „ანთებული ხეივანი“

### საფერფლე ურნა

მე „მზის სიცილი“ მაღალ თაროდან
გადავიტანე დაკეტილ ყუთში.
ვწერდი სხვა ლექსებს და მიხაროდა,
რომ დავიურვე ოცნება ყურჩი.

მეგონა: ზენამ სხვა ხმა მაჩუქა,
მაგრამ იელვეს ბრძოლის დანათა,—
და „მზის სიცილი“-ს დაღლილმა შუქმა
ამ წიგნშიც მკრთალად შემოანათა.

მე მივყვებოდი სულის ყრუანტელს,
და ვატარებდი გულის-თქმას მართალს.
ვანთებდი, როგორც ხატის წინ სანთელს,
სტრიქონებს უბირს და გაუმართავს.

ვტიროდი ლექსის ყოველ ხანაზე,
(ტანჯვაში თეთრი გამომერია)—
და არ ვიცოდი, რომ ქვეყანაზე
ცრემლების ღირსი არაფერია...

გული არ მაძლევს ამ გზას დავჯერდე,
უკან დახევაც ვერ მოვასწარი.
როგორც კუბოში, წიგნში ჩავჭედე
ჩამქრალ ლექსების ცივი ნაცარი.

წიგნს სურდა ნათელ მწვერვალზე ასვლა,
მაგრამ ცოდვისგან ვერ განიკურნა.
სჯობდა „ანთებულ ხეივნის“ ნაცვლად
მას დარქმეოდა „საფერფლე ურნა“.

### შირაქი

შემოღამდება. დღე მოკვდება ჩამქრალ სიცხეში,
და გაბრწყინდება ცის ვარდებით მხიბლავი სარკე.
თბილი ჰაერი დაისვენებს მდუმარ სივრცეში,
და დედამიწა დაიხრება ვარსკვლავისაკენ.

შეიმოსება ძილის ლოცვით სული ყოველი,
დაიძინებენ წყლის პირს ალვა და კვიპაროსი.
ღამით იფეთქებს დაგროვილი მზის სიცხოველე
და მწვავ სიზმრებად გადაიქცევა ცხელი ტაროსი.

მომეჩვენება: შავნი ჩრდილნი ცას დაჰფარავენ
და თითო-თითოდ დაბრმავდება ყველა მნათობი.
და გამოჩნდება ცაზე ვინმე სხივთა მპარავი,
და უცებ ჩემში გაიელვებს შიში ნაცნობი.

მაგრამ გაივლის ერთი წამი, შავად ნაფერი,
და ჩემს თვალებში შეიჭრება უცხო მირაჟი:
დაღვრემილ ცისა განათდება კიდე-ნაპირი,
და ცეცხლის ფრქვევით გაიქროლებს მფრინავი რაში.

ათამაშდება ირგვლივ სხივთა კორიანტელი.
ღამეს მოჰხიბლავს ცა და მიწის ასხივოსნება.
კვლავ აენთება ლურჯ ჰაერში ყველა სანთელი
და ტკბილ სიზმრებში დამშვიდდება ჩემი ოცნება.

### გამოთხოვება

ჰქრება სინათლე, წიგნიც თავდება,
(და მეც ვაჩერებ გაფრენილ ცხენებს).
ესეც იმ ყუთში დაბინავდება,
სადაც უფროსი და განისვენებს.

იქნებ მეტია ეს გალაშქრება
ლექსთა ნაღვლიანთ და ხან მცინართა.
თუმცა თვალებში ცრემლი არ შრება,—
ეს მოჩვენებაც გაუჩინარდა.

მოდის საღამო სხივ-ალმაცერი,
მალე სიშავე ცას დაეტყობა.
მევე შემძულდა ჩემი ნაწერი
და მინდა ჩქარა გამოვეთხოვო.

ერთი წუთისთვის ხეთა მწვერვალებს
ჟინჟღილებივით არ ავანთებდი,
მაგრამ სწყუროდა შუქი ჩემს თვალებს
და მეწამული შარავანდედი.

ქარვა წალეკა ფოთლების ღვარმა,
ტყე დაიჩრდილა და დაიჩაგრა.
ოქროს სევანი დახია ქარმა
და ჩირაღდნებიც ჰაერში ჩაჰქრა.

ფარჩის ფარდული წაიქცა ბაღში
და აიმართა თოვლის კარავი.
ატირდა, როგორც უდედო ბავშვი,
გული, აქამდის გაუმწარავი.

და უკანასკნელ კარებთან მისვლით
ვუახლოვდები შორეულ ნაპირს.
ცივი საღამო იისფერ ნისლით
ამკრთალებს საზღვარს, სისხლით შენაფერს.

აქ დავისვენებ, შორს მიმავალი,
რომ შემდგომ მეტის გახალისებით
ვიმღერო, ზეცამ რაც დამავალა,
და გავანათო ახალი გზები.

მესმის ქუხილი. უკვე დროც არი
გაიხსნას კარი უფსკრულისაკენ,
აენთოს ხაზი გასაოცარი
და გაბზარული გამოჩნდეს სარკე.

**ს. აბაშელი.**

# ცხოვრების მოედანი

„ნაღვლიანობა ხარკია
დღეინდელ ჩვენი ბედისა
და სიტკბოება—ოცნება
შორეულ სხვა იმედისა“...
**აკაკი**

I

ბავშობიდანვე დაეტყო ჩემს არსებას ხასიათის რაღაც უცები გაბედულობა და სიცოცხლე; მახსოვს, ყრმობისას, ცხონებული გადია ჩემი, რომლის მფარველობისა და მზრუნველობის ქვეშ ვიმყოფებოდი, სანამ სასწავლებელში მიმაბარებდენ, ხშირად მომიქნევდა ზროწეულის მოქნილს შოლტს გასალახავათ. მაგრამ მე შორს გავუხტებოდი, გულ-გასახეთქათ, გასაჯავრებლათ ენას გამოვუყოფდი და მშობელი დედიჩემის გულ-მკერდს ალერსით მაგრათ მივეხუტებოდი. დედა ჩემს სიცილი წასკდებოდა, კალთაში ჩამიგორებდა, თვალებში პირმცინარე ჩამხედავდა და ორივე აწითლებულ ლოყებს მხურვალეთ დამიკოცნიდა... ყრმობის ტკბილი, ოცნებით სავსე დღეები სულის თითოეულს მოძრაობას და გრძნობის მოზარდს ძალებს სასურვილის სიწმიდითა და ნეტარებით ასპეტაკებდენ. ჩემთვის ისინი მუდამ სამახსოვროცა და სასიამოვნო მოსაგონარნიც იქნებიან.

დედისაგან ნებივრად აღზრდილი შვილის მთელი არსება ბუნების უმშვენიერეს გასახედ-გადმოსახედავ ადგილებზე იყო გადამკვდარი. ბუნება მიყვარდა მეტათ. დიდი თანაგრძნობითა და სიხარულით უღიმოდა მას ჩემი ორთავ თვალის სინათლე, რადგანაც იმის საოცნებოთ ამწვანებულს წიაღსა ვსახავდი ჩემი სულის ჩამდგმელათ და გამახალისებელ მაისის ვარდათ. მე ვგრძნობდი, პოეტის თქმისა არ იყოს, „არის ენა უსაკოთა და უსულოთ შორის“, მიხაროდა, გარს მერტყა სრული სიამე და ნეტარება და მიტომაც

„ამ სულს და ამ ტანს,
[illegible] თან ამტანს,
ათამაშებდა ძგერითა გული...“

აღმოსავლეთისაკენ ჩემს სოფელს აყუდებია მაღალი მთა ბესათრიელი (ბერი სათრიელი), რომელის იქით, გადაღმა, მიბლავის საშინლათ გიჟი, მღელვარე და უზარ-მაზარ კლდეებთან მებრძოლი რიონი. მდინარე ბევრი ვაების მოწამე და „თავმომწონი ფზისი“, რომელზეც გამწარებული მამულისშვილი მთა-ბარს ჩაჰკითხავს:

გულ ამღვრევით რას ბუტბუტებს,
გადასული დროს მომგონი?..
... გარბის იგი მგლოვიარე!
ცრემლით ირწყვის არე-მარე
და შავ ზღვასვე შეღრიალებს:
„ჩემი ტანჯვა მიიბარე!..“

მე ავდიოდი ამ მაღალ მთაზე, საიდანაც მთელი ვაკე იმერეთი, ოდიშის მხარე, ცხენისწყალის მინდორ-ველი, ახალციხისა და გურიის მთები, შავი ზღვის აღმოსავლეთის ნაპირი, ხვამლის კლდე, ისხის მთა და გორმაღალი და უმაღლესნი მწვერვალნი დიადი კავკასიის ქედისა პირდაპირ ხელის გულივითა სჩანან. თვალს იტაცებდა დასავლეთი, სადაც დაცემულს, ლურჯათ შემოსილს მდიდარს ვაკე იმერეთზე ორთქლის მატარებლის კვამლი თოვლის თეთრს გვირგვინს ასცილებოდა, დილის მზის სხივებს გაკვროდა და ჰაერში გაწოლილს ლრუბლათ მეჩვენებოდა. ახლოს, აგერ სამხრეთით, სჩანდა იმერეთის თვალი და შვენება, დიდების მოყვარე პატარძალივით მორთული, „სავარდო და სამაისო“ ქუთაისი, რომელსაც იგივე მგოსანი ეკითხება:

„ვინ ყოფილა შენი მავნე,
გულს ეკალი რომ დაგისო?.,

როდის იქნება, იტყოდა ხოლმე ჩემი ოცნება, ამ მთის წვერიდან, სწორეთ იქიდან, სადაც ფეხი მედგა, ავფრინდე და მივიარ-მოვიარო ეს მთელი თვალ-გადასავლებელი სივრცე ქვეყნისა! მოდი, ავხტები და, იქნება, მერე ქარის ზვირთმა ამატივტივოს, წამიღოს მეთქი. მაგრამ აპა... ახტომისათანავე ყირამალა გადმოვტრიალდებოდი და დედა-მიწა, მშობელი დედის მკერდივით, მაგრად მიმიხუტებდა. გული-კი ბედს მაინც არ ნებდებოდა და მძლავრათ მომუშავე ოცნება რაშებ-შებმულს ეტლს წარმოადგენდა, მასში ჯდებოდა და იმ გასაოცარს მდიდარს გასახედ-გამოსახედავ არე-მარის დასათვალიერებლათ დაჰქროდა. რაშებ-შებმული ეტლით ჰაერში მიმაქროლი ყმაწვილის ოცნება ყოველიფერს ეპოტინებოდა, ეხვევოდა, დიდი სიმტკიცით აპობდა ჰაერის სიმძიმეს, ათვალიერებდა ტურფა ქვეყნის მდიდარს მთასა და ბარს და უახლოვდებოდა იმასაც-კი... რომელმაც ასე მდიდარათ და საოცრათ შექმნა მთელი სამყარო და ჭეშმარიტი მშვენიერება...

წარმოიდგინეთ, ყმაწვილის გულის უმადურობა! მე ამ სამყაროსაც და მშვენიერებასაც სულ ადვილათ დავთმობდი, ოღონდ-კი, რაიმე უხილავი და წარმოუდგენელი საოცნებო ძლიერი ჩაბეჭდილება განეცადა ჩემს არსებას. დეე, მთვრალი და რეტიანი კაცივით ძრულიყო ზღვა და ხმელეთი, შუაგულ დედა-მიწის საშინელი უფსკრულიდან ჯოჯოხეთის ტარტაროზს და გველეშაპს სიცოცხლის მსპობელი პირი დაეღო და საუკუნოთ მოსპობილიყო მთელი სამყარო,—ოღონდ ჩემი სურვილი განხორციელებულიყო, ეს წარმოუდგენელი სანახაობაც ერთს წამს მენახა და დავმტკბარვიყავ წუთიერათ სრული სიამით და ნეტარებით...

რაოდენჯერ გადამიხედავს იმ მთის წვერიდან რიონისაკენაც! თვალუწვდენელი ალმასის გველი საოცრათ იკლაკნებოდა და მაღალი, ხშირი ხეტყით დაბურულს არე-მარეს საშინელი ხმაურობითა და ყვირილით აღვიძებდა. გიჟი მდინარე, ცელქათ მოთამაშე ზვირთები თვალუწვდენელი კლდის სიმაღლიდან უფსკრულში შავს კლდეთა იატაკს თავგანწირული ასკდებოდა და მწარეთ გალახულ-დაგლეჯილნი მდორეთ, წყნარ-წყნარათ ამოდიოდენ დ სამარიდან ამოღებულს ემსგავსებოდენ. საცოდავნი!..

რამდენჯერ მომინდომნია თვალით გამეზომა იმ კლდის სიმაღლე, რომელიც ასე სასტიკათ, შეუბრალებლათ სჯიდა მასთან შეჭიდებულს მდინარის მღელვარე ზვირთებს, დიდი გამბედაობისა და სიცოცხლის, ბრძოლის გამომხატველს ზვირთებს. მაგრამ ჩემი ცთა და სურვილი ყოველთვის სრულიათ მიუწდომელი და ამაო იყო. მე ვგრძნობდი, რომ ის მოძრავი ზვირთები, რომელნიც საოცრათ ხატავენ მთელი მსოფლიოს ცხოვრებას და კაცობრიობის შეუჩერებელს ბძოლას, რაღაც დიდი მონათესავე და მოკავშირენი იყვნენ ჩემი. გაცხოველებული, შფოთარე სული ღელავდა, გრძნობდა რაღაც უხილავს ძალას. მეგობრული, მოსიყვარულე თვალები მხედველობას არ აშორებდა ზვირთების დენას და სისასტიკით გამწარებულს კლდეთა შეტაკებას. წარმოუდგენელია აქ ბუნების ძალთა საკვირველი და გასაოცარი ბძოლა, რომლის სურათის დახატვა არ ძალუძს ჩემს სუსტს კალამს მთელი მისი მშვენებით...

მე ვგრძნობდი, რომ, აი, ის ზვირთი, სწორეთ ის ზვირთი, რომელიც მიასკდა კლდის კედლის წვერს, გაიპო და გაიშალა, **სიცოცხლე** იყო და ვამბობდი—იგი თვით **მე ვარ** მეთქი...

დიახ! მე ვგძნობდი მხოლოთ და არ ვიცოდი, რასაკვირველია, მაშინ ნათლად, გამორკვევით, რომ მოძრაობა, შებრძოლება, გამწარებული სიცოცხლე და ცხოვრება ჩემი სიცოცხლე დ ცხოვრებაც უნდა ყოფილიყო...

მართალია, მე ჩემი თვალით ვხედავდი, ერთი მხრით, საოცარს თავგანწირულებას და, მეორე მხრით, კედლის შავს გულცივობას და ინსტიქტიურად მეც ვგრძნობდი სასტიკი ბრძოლის უსამართლობას და დაუზვეგველობას, მაგრამ ოცნებას მაშინ მაინც ცხოვრება სიამის სოფლად ჰქონდა წარმოდგენილი, სიყვარულისა და მეგობრობის ასპარეზად მეხატებოდა და ყველას, სულ ყოველისფერსაც ვთვლიდი ძმათ, მეგობრად და უმანკო ანგელოზებად. და, ამიტომაც, მე იმ წამს მსურდა მხოლოდ იმ ზვირთის ერთს ნამცეცა წვეთად გადავქცეულვიყავ, მის ბედსა და უბედობაში მხურვალე მონაწილეობა მიმეღო, მასთან ერთად დავტაკებოდი ჩემი ჩვილი და სუსტი გულმკერდით იმ გაცივებულს და მედიდურს, ცამდი რომ ცხვირი აუშვერია, მაღალ კლდის კედელს. ბრძოლის შემდეგ ზვირთივით აქაფებულვიყავ და იმ საშინელს,

თვალუწვდენელი უფსკრულიდან ამოსულს დაჭრილი გულითა და სისხლმორეული თვალებით კვლავ დამენახა ეს უგულო და უგრძნობელი, პირშავი სამყარო, რომელიც ასე აღუშფოთებლად და გულცივი სიდინჯით უცქეროდა ამგვარს უსამართლობასა და დიდს საცოდაობას... დიახ, უკანასკნელად დამენახა ეს გაცრიაგებული, გამობლენცილი ცივი სამყარო, რომელსაც არ უჩანდა არც გაჩენის დღე, არც დასასრული და მერე... მშვიდობით.

ერთხელ, აი, გადაველ, გადავიარე მთის დაფენილი მშვენიერი მწვანე კალოები, ჩავუარე მდ. რიდუაზე დიდ ჩანჩქერს და მივადექ რიონის ნაპირსაც. მაგრამ ძნელია წარმოიდგინოს კაცმა რიონის ის საშინელი ღრიალი და ყვირილი, რომელიც აყრუებს იქაურს არე-მარეს. ყურთა სმენა აღარ იყო. მე გამაოცა ასეთმა საკვირველმა სანახაობამ, შევდეგ და თვალებათ გადავიქეცი. ბუნების დიადმა ჩაკვირვებამ ჩემზე ძლიერად იმოქმედა და პირველად შიში და კანკალი ამივარდა. შემდეგ-კი გული ნელ-ნელა დამშვიდდა და კიდევ დიდხანს ვიდექი უძრავად გაშტერებული. გადიაჩემისაგან ბევრჯელ გამეგონა, რომ ერთს ხანს მდინარეც კი შეჩერდებაო, შუა ღიმისას ერთს პირს მიიძინებსო და დაყრუვდებაო.

ნეტავი, თუ მართლია, რომ ეს მოღრიალე, უშველებელი მდინარე, რომელიც ასე საშინლად მირბის თავქვე და მიაქვს ტყე და ველი, მთა და ბარი, ერთს წუთს მაინც არის, შედგეს დ თვალი ძილს მისცეს, დაყრუვდეს! არა. ყოვლად წარმოუდგენელია ასეთი ამბავი... მაგრამ, თუ კი არის და შესაძლებელია, მართლაც, ასეთი წამი, ნეტავი მომკლა და იმ წამს აქ გამაჩინა, ეს საოცარი წარმოუდგენელი სანახაობაც რომ ვნახო მეთქი...

ხელში ავიღე რიყის ქვა, პრტყელი, მსუბუქი და ლამაზი. დავუპირდაპირე იგი მდინარის უშველებელს, თეთრი ბატკნებივით მოთამაშე ზვირთებს და გავისროლე... გასროლილი ქვა გამალებული სისწრაფით რაზმებად მოცურავს ზვირთებს შეეტაკა, შეეთამაშა მღელვარე მდინარის ანკარა წყალს და დაიკარგა... სად გაჰქრა და დაიკარგა? ჩავეკითხე უნებურად ჩემს თავს. მოულოდნელად ერთმა ფიქრმა თავში გამიელვა: ქვასაც, ალბად თვალი უნდა ჰქონდეს, რომელიც კარგად მიჩვეულა მდინარის ძირიდან, ზედ ამდენი წყალი რომ გადმოდის, უყურო მზის სხივებს და გალაჟვარდებულს ცის კამარას..

ოცნებამ კვლავ ფრთები შეისხა, ტრედისფერ ცის სივრცეში დაიწყო ქროლა და ნავარდობა. ოცნებით გატაცებულს წინ დამეხატა სულ სხვა გულის წარმტაცი სურათები თვისი მიმზიდველი მშვენებით და ნეტარებით...ოჰ, ღმერთო! რა კარგია და დიდებული, ბავშის, ამ პატარა ანგელოზის ფერად-ფერადი ოცნება... და დიდებულია იმიტომ, რომ იგი ოცნება არის მიუწდომელი, სიზმარი...

შინ დაბრუნებული საყვარელს დედას დიდის ყოფითა და ამბით მოვუყვებოდი ჩემს პირადს სიამოვნებასა და თავგადასავალს. და საყვარელი ტკბილი დედაც გულით ხარობდა სიცოცხლით სავსე შვილის საუბრით. ხოლო გადია-ჩემი, ბებერი, კბილებჩაცვივნული გადია-ჩემი კი... საზარლად შავს თვალებს გადმომიბრიალებდა და კიკინებიანი ურიებითა და მგლის ყმუილით მაშინებდა.

რა უნდოდა ჩემგან იმ ჩემი ცოდვით სავსეს? რა ვიცოდი, თუ ბებერს გადია-ჩემს **„უფროსთა მორჩილებაში,"** **დამთნებაში** აღზრდა უნდოდა ჩემი და იმიტომ მტუქსავდა თავისი საშიშარი ბრიალა თვალებითა!..

**ხომლელი.**

# ქ რ ო ნ ი კ ა

**აკაკის სახლი**

საჩხერის თემის აღმასკომს დაუდგენია, რათა აკაკის სახლი, რომელშიაც დაცულია მგოსნის ყველა ნივთები, გადაეცეს ტყის მცველებს საცხოვრებლად. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის თხოვნით განათლების სახალხო კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა სადაც ჯერ არს ამ დადგენილების გაუქმების შესახებ.

**„ანთებული ხეივანი"**

რედაქციამ მიიღო **ს. აბაშელის** ლექსთა მეორე წიგნი: **„ანთებული ხეივანი"**, წიგნი ლამაზად არის გამოცემული და ღირს ხუთი შაური ოქროთი.

**ბენეფისები რუსთაველის თეატრში**

ბენეფისები რუსთაველის თეატრში უკვე დაიწყო, ხუთშაბათს შესდგა პირველი წარმოდგენა ახალგაზრდა მსახიობთა: თ. ჭავჭაძის, აკ. ვასაძის, უშ. ჩხეიძის, შალვა ღამბაშიძის და მიხ. ლორთქიფანიძის საბენეფისოდ — დაიდგა „ცხვრის წყარო".

ხუთშაბათს, მარტის 29 გაიმართება დამსახურებულ მსახიობის **ნიკო გოცირიძის** ბენეფისი, ვასო აბაშიძის მონაწილეობით. დაიდგმება „მზის დაბნელება საქართველოში" და აქ. ცაგარელის ცნობილი კომედია: „ხანუმა" მეორე და მეოთხე მოქმედება.

**ვეფხის ტყაოსანი ფრანგულად**

პოეტმა ქალმა ელისაბედ ორბელიანმა დაასრულა „ვეფხის ტყაოსანის" ფრანგულ ენაზე თარგმნა. თარგმანი ახლო მომავალში წაკითხული იქნება საქართველოს მწერლებსა და ლიტერატორებს შორის.

**სახალხო სახლის იუბილე**

30 წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც ტფილისში არსებობს სახალხო სახლი. სახალხო სახლის გამგეობას გადაწყვეტილი აქვს ეს დღე აღნიშნოს შესაფერ საუბილეო დღესასწაულით.

**ქართული გრამატიკა ფრანგულ ენაზე**

ტფილისის ფრანგული ლიცეის მასწავლებელმა მოქ. ლიუზენმა გადათარგმნა ფრანგულ ენაზე „ქართული გრამატიკა". ლიუზენი ოცი წელი მუშაობდა ამ თარგმანზე, რომელიც ეხლა დაასრულა. წიგნი შეიცავს 200 გვერდს.

**მსახიობ ალ. ინაშვილის საზღვარგარეთ გაგზავნა**

სახ. ოპერის მომღერალს გან. კომისარიატი აგზავნის იტალიაში უმაღლესი ვოკალური განათლების მისაღებად. ახლო ხანში ოპერის თეატრში გაიმართება მისი გამოსამშვიდობებელი ბენეფისი, წარმოდგენილი იქნება ოპერა „ტოსკა" და ერთი მოქმედება „აბესალომ და ეთერი"-დან.

**საბავშო გამოცემები**

სახ. გამომცემლობამ განაახლა საბავშო ჟურნალების „ჯეჯილი"-სა და „ნაკადული"-ს გამოცემა. „ნაკადული" გამოვა თვეში ორჯელ, ხოლო „ჯეჯილი" ორ თვეში ერთჯელ.

**ალ. სუმბათაშვილი-იუჟინი ქართულ თეატრის შესახებ**

მოსკოვის ჟურნალი „თეატრი და მუსიკა"-ს თანამშრომელს ქართულ თეატრის შესახებ ალ. სუმბათაშვილი-იუჟინთან გაუკეთებია ინტერვიუ. ინტერვიუში, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ იუჟინი ქართული თეატრის შესახებ დიდი აზრისაა და მას დიდი მომავალიც მოელისო.

„მდიდარი თავისი შინაარსით და ლამაზი თავისი ხმიანობით, ქართული ენა სავსეა პლასტიურობით და ტემპერამენტით. მე პირადათ დავრწმუნდი ამაში, უთქვამს იუჟინს. სულ მცირე ხნის განმავლობაში ქართული თეატრი წასულა წინ გიგანტიურ ნაბიჯით. არ დაუკარგია რა მას კავშირი მშობლიურ ქვეყანასთან, ბუნებასთან, ხალხის სულთან, თეატრს სულ მცირე ხანში გაუფართოვებია თავისი ჰორიზონტი. მხოლოდ საჭიროა დაწყებულ საქმის თავის სისრულემდის მიყვანაო".

**მაკბეტი ქართულ თეატრში**

რეჟისორი მ. ქორელი დიდი ხანია ამზადებს და ამ დღეებში წარმოდგენილი იქნება ულიამ შექსპირის ცნობილი ტრაგედია: „მაკბეტი", თარგმანი ივანე მაჩაბლის. უმთავრეს როლებს შეასრულებენ: მაკბეტს — ალექ. იმედაშვილი, ლედი მაკბეტს — ნინო ჩხეიძე.

**სარედაქციო კოლეგია**


## განცხადება.

ამიერ-კავკ. რკინის გზის

## გამგეობა

აცხადებს

ყოველ ცალკე ამიერ-კავკ. სახალხო კომისარიატების და დაწესებულებების საყურადღებოთ, რომ

გადაგზავნა ბარგის ნისიათ შეიძლება მხოლოდ მაშინ როდესაც სახელმწიფო ბანკში შეტანილი იქნება მათ მიერ მიმდინარე ანგარიშში.

ამისთვის ცალკე პირობები და შეთანხმება არ შესდგება.



## რესპუბლიკის მთავარი საავადმყოფო

(ყოფ. მიხეილის)

აცხადებს, რომ **25 მარტს, დილის 11 საათზე,** საავადმყოფოს შენობაში

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა

## საჯარო ვაჭრობა

### ძველი რკინის საწოლების (200-დე),

რომელთა ნაწილი შეკეთების შემდეგ გამოდგება ხმარებისათვის, და სხვადასხვა **რკინეულობის გასასყიდათ.**

გასაყიდ ნივთების დათვალიერება შეიძლება ყ ო ვ ე ლ დ ღ ე დილ. 9-დან დღის 3 საათამდე. ამავე დროს საავადმყოფოს კონტორაში მიიღება ყოველივე ცნობები საჯარო ვაჭრობის შესახებ.

**საჯარო ვაჭრობა უკანასკნელია.**



## განცხადება

## ამიერ-კავკ. რკინის გზის გამგეობა

— აცხადებს —

რომ მარტის 25-ს, დილის 12 საათზე ამიერ-კავკასიის გამგეობა ვაგზლის ქ. № 1. დანიშნულია წერილობითი შეჯიბრება სადგურების ბუფეტების არენდით გაცემაზედ აპრილის 1-დან 1923 წ. ბუფეტები 1-ლ კლასის შემდეგ სადგურებზედ: ბაქო, აჯიკაბული, ქიურდამირი, ევლახი, განჯა, აკსტაფა, შახტახტი, ნახიჩევანი.

**ბუფეტები III კლასის** ბაქოს 1, ბაქო — საბუნჩი, აჯიკაბული, კურდამირი, ლიაკი, საგირი, ტაუზი, აკსტაფა, სუბგოიტი, დივირი, კიზილბური, კუსორ — რაი, ალაგიოზი, იოშმა, ულუხანლუ, შახტახტი, ნახიჩევანი, შაგალი, ამამლი, ეჩმიაძინი, საჭიროა რემონტი.

**ბუფეტები IV კლასის** სადგურებზე ბაქო. 1.

**სავაჭრო დუქნები შემდეგ სადგურებზედ** ბაქოს 1, ბაქო — საბუნჩი, სანჯაჩალი, აჯიკაბული №№ 1 და 2, კიურდამირი, ლიაკი, დოლმამეტლი, უდჯარი, ევლახი, №№ 2 და 3, განჯა №№ 1, 2, 3, 4, 5, და 6, დოლიარი, საგირი, ტაუზი, აკსტაფა, კუსარ-ჩაი, კარა-ბურუნ, კოლაგერან, ახტალა, სანდარ, აბად, ამამლი, შაგალი, შახტახტი, ნახიჩევან.

**საპირფარეშო შემდეგ სადგურებზედ** ბაქო, ბაქო-საბუნჩი, ადჯიკაბული, ევლახი, განჯა ტაუზი, სანაინი, ერივანი და ნახიჩევანი,

**სანაგვეები ჩარდახ ქვეშ სადგურებზე.**

ხილის სავაჭრო შკაფი შემდეგ სადგურზედ: განჯა.

ხელის ბარგის შესანახის ოთახი შემდეგ სადგურზედ: ბაქო.

იმ პირებს ვისაც სურთ მიიღონ მონაწილეობა შეჯიბრებაში მოვალენი არიან განცხადებანი დაბეჭდილი კონვერტებით წარმოადგინონ და ჩააგდონ საბჭოსთან გამოკიდებულ ყუთში, ან გადმოგზავნონ წინდაწინ ფოსტით.

როგორც გადმოგზავნილი განცხადებანი, აგრეთვე პირადათ გადაცემული უნდა იყოს დაწერილი („იჯარით გასაცემ საპირფარეშო, ბუფეტების, და სავაჭრო დუქნების შეჯიბრების კომისიას). განცხადებაზე უნდა იყოს აღნიშნული თუ რამდენი ფული შეაქვს ოქროთი წლიურად.

განცხადებას უნდა დაერთოს

1. ქვითარები შეტანილი ბესი-დასახელებული საფასურის 10 პროც. მსურველი, ვისაც იჯარით უნდა აიღოს რამოდენიმე დარგი ცალკე განცხადებებს იძლევიან მიღებულ წესით, თითოულ დარგზე ცალკე ბეს გადახდით. დადებულ არენდზე 10 პროც. საფასური.

2. შეჯიბრების მსურველნი სალერბო გადასახადს იხდიან. იჯარით გაცემის დროს გამგეობა ხელმძღვანელობას, არა მხოლოდ განცხადებების ფასებით, არამედ სხვა მოსაზრებითაც, სახელდობარ: რკინის გზების მეურნეობის ინტერესების მიხედვით. 3. ის პირები ვისაც იჯარით აქვთ გადაცემული ბუფეტები სავაჭრო დუქნები, საპირფარეშოები და არა აქვთ შეტანილი სრულიად საარენდო ფული გადახდილი ამ წ. მარტის 1 მდე შეჯიბრებაში დაშვებულნი არ იქნებიან. დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე დილის 10—11 ს-მდე უქმე დღეების გარდა რკინის გზის გამგეობაში ტფილისი ვაგზლის ქ. № 1 ოთახი № 34.



## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მართველობა

ამით აცხადებს, რომ თფილისის სალიკვიდაციო საწყობში (დიდუბე გორის ქ.) მოხდება

## აუქციონით ვაჭრობა

იმ საქონლისა, ბაგაჟის და მატარებელში დარჩენილ და დავიწყებულ ნივთებისა, რომლებიც პატრონებს არ წაუღიათ ამიერ-კავკასიის სხვა და სხვა სადგურებიდან

გაუყიდავ საქონლებზე ხელმეორე ვაჭრობა დანიშნულია

## 27 და 28 მარტს.

ქვემოდ ჩამოთვლილია ნომრები და მისამართი გასაყიდი საქონლისა და ბაგაჟის ნომრები. დაწვრილებით ცნობების მიღება გასაყიდი საქონლისა და ბაგაჟის შესახებ შეიძლება თფილისის სალიკვიდაციო საწყობში, ვაჭრობის დღეს — ვაჭრობის დაწყებამდე. 1. **დარჩენილი საქონელი მისამართის აღნიშვნით:** №№ 316078 — მისამართი არ არის აღნიშნული; 31684 მისამართი არ არის აღნიშნული; 2104, 106411 და 7300 — მისამართი არ არის აღნიშნული: 84373 — ტყიბულის მრეწველობა; 537 და 538 ვინც საბუთს წარადგენს; 86171 — მისამართი არ არის აღნიშნული: 317068 — პუგალოვკინი შ., იასონ კალოიანი: 60205 — საქართველოს მეურნეობის უმაღლესი საბჭო; 3574 — წნორის წყალი.

2. **დარჩენილი ბაგაჟი:** №№ 4174 — ნიჟნი-ნოვგოროდი; 2309 — კრილოვისა; 6699 — ბათომი; 3432 — აღსტაფა; 2092 — კიევი, 7660 — სვირი; 46476 — სვირი; 2861 — ბათომი: 49130 — ბათომი; 1074 — როსტოვი; 51913 — სამტრედია; 4756 — ზესტაფონი: 32507 — ნავთლუღი: 68478 — ბორჯომი.

3. **უსაბუთო საქონელი:** №№ 5383 და 5385 — პურის ფქვილი და 5999 — სხვა და სხვ.

4. **ბაგაჟი, ჩასაბარებელი გასაგზავნათ, რომლის გასაგზავნი ფასი არ არის გადახდილი:** №№ გორი 290 და 289.


ს. მ. ს. უ. ს. პოლიგრაფიული განყოფ. 1-ლი სტამბა, პლეხანოვის ქ. № 91. ნებადართულია ლიტერატურის და გამომცემლობის მთავ. მართველობის მიერ № 145. ტირაჟი 1400